1979

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

## № 5

### მაისი—МАЙ

თბილისი — 1979 — ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება

**1978—1979 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. სკოლები უზრუნველყოფილია მეთოდური მითითებებით და რეკომენდაციებით, სათანადო დოკუმენტაციით. კარგი შედეგი გამოიღო საშემოდგომოს ნაცვლად დამატებითი გამოცდების შემოღებამ. განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1977 წლის 8 დეკემბრის დადგენილება „მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის წესის სერიოზული დარღვევების შესახებ“, რომლითაც მკაცრად განისაზღვრა სკოლის ხელმძღვანელობის, მასწავლებლების, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა პირადი პასუხისმგებლობა ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის, მოსწავლის ცოდნის არაობიექტურად შეფასების საქმეში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გასული წლის გამოცდების შედეგების ანალიზი, სახალხო განათლების ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ მათი ორგანიზებულად ჩატარების მიზნით გაწეული მუშაობის შესწავლა ცხადყოფს, რომ გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები გაგვაჩნია, რაც მთავარია, აღმოფხვრილი არ არის მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში არაობიექტურობა, ლიბერალიზმი და პროტექციონიზმი, სკოლის წესდების, საგამოცდო ინსტრუქციის უხეში დარღვევის ფაქტები.

შემოწმებით დადგენილია, რომ კვლავ გვხვდება ატესტატის საშუალო არითმეტიკული ბალის ხელოვნურად გაზრდის, ოქროს

მედლით დაჯილდოების მიზნით მიმდინარე, მეოთხედური და წლიური შეფასების ნიშნების გადასწორების, ამოფხეკის, არასწორი გამოყვანის, გამოცდებზე ცოდნის ლიბერალური, არაობიექტური შეფასების ფაქტები (ყვარლის, თიანეთის, საგარეჯოს რაიონები), სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება ექსტერნის წესით გამოცდების ჩატარება და მათ მსვლელობაზე კონტროლი (სამტრედიის, მცხეთის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონები).

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ სკოლის, განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ წარმოდგენილი ოქროს მედლის კანდიდატების ნამუშევრების განხილვის შემდეგ განათლების სამინისტროში უარი ეთქვათ დაჯილდოებაზე რიგ მოსწავლეებს (ჩხოროწყუს, თელავის, წითელწყაროს, გარდაბნის, ლენტეხის, დმანისისა და ლენინგორის რაიონები, ქ. ცხინვალი).

ფორმალიზმით ხასიათდება სკოლადამთავრებულთათვის დახასიათებებისა და რეკომენდაციების გაცემის საკითხი, ანგარიში არ ეწევა ობიექტურ, ინდივიდუალურ მონაცემებს, უნარ-ჩვევებს, კონკრეტულად და ნათლად არ არის წარმოდგენილი ახალგაზრდის პიროვნება სწავლაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამხანაგებთან ურთიერთობაში, უფრო მეტიც, არაობიექტური დახასიათებით, ხელოვნურად გაზრდილი შეფასებით უქმნიან საკუთარ შესაძლებლობებზე გადაჭარბებულ წარმოდგენას, ხელს უშლიან სწორ პროფესიულ ორიენტაციას, სერიოზულ ზიანს აყენებენ მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგები ნათლად ლაპარაკობს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების პრაქტიკაში არსებულ დარღვევებზე. სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი, მათ შორის ატესტატში მაღალი ქულის მქონენი, ცალკეული მედალოსნებიც კი ვერ ახერხებენ დადებითი ნიშნის მიღებას.

1978 წლის სკოლადამთავრებულთაგან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში გასულ წელს 21.974 ახალგაზრდა აბარებდა, მათგან დადებითი ნიშანი 5.026-მა (22,9%) მიიღო. ზოგიერთი ქალაქიდან, რაიონიდან დიდია იმ სკოლადამთავრებულთა რაოდენობა, რომლებსაც ატესტატში საშუალო არითმეტიკული 4,5 და მეტი ჰქონდა და მისაღებ გამოცდებზე მათი ცოდნა არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული. აღნიშნულის ნათელსაყოფად მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაცემებიც კმარა. ამ კატეგორიის აბიტურიენტთაგან ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით აქ არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული: თბილისიდან — 528, რუსთავიდან — 61, ქუთაისიდან — 30, ზუგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდან — 29, ფოთიდან — 15, გორიდან — 15, ბათუმიდან — 9, ხაშურიდან — 56, საგარეჯოდან — 41, წითელწყაროდან — 39, ზესტაფონიდან — 25, ზუგდიდის რაიონიდან — 25, გალიდან — 19 და ა. შ.

მიმდინარე წელს საშუალო განათლების ატესტატს 90 ათასზე მეტი ახალგაზრდა მიიღებს, ხოლო 98 ათასამდე რვა კლასს დაამთავრებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა გამოცდების ორგანიზებულად, მომთხოვნელობის, ობიექტურობისა და კეთილგანწყობის ვითარებაში ჩატარება, ახალგაზრდობისათვის ცხოვრების შემდგომი გზის არჩევაში სწორი მიმართულების, რეკომენდაციების მიცემა, რვაკლასდამთავრებულთათვის საშუალო განათლების მისაღებად სასწავლო დაწესებულებების შერჩევა.

ამ თვალსაზრისით გასული წლის მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების ხელმძღვანელობა სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. აღნიშნულზე მეტყველებს ის, რომ დღეისათვის არ სწავლობს და არ მუშაობს 141 რვაკლასდამთავრებული და 2.391 საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდა.

მიმდინარე წელს გამოცდების მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

— მტკიცე კონტროლი დააწესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდებისათვის მზადებასა და მიმდინარეობაზე, მკაცრად დაიცვან ინსტრუქცია „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“;

— აამაღლონ თითოეული სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური კოლექტივის პასუხისმგებლობა გამოცდების ობიექტურად და მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის.

— პედაგოგიურ კოლექტივებში შრომითი დისციპლინისა და თვითდისციპლინის განმტკიცებით უზრუნველყონ გამოსაშვები, დამატებითი და საშემოდგომო გამოცდების მაღალორგანიზებულად ჩატარება. ეს პროცესი მჭიდროდ დაუკავშირონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განუხრელად გაუმჯობესების საკითხებს;

— გულდასმით შეამოწმონ ოქროს მედალოსნობის კანდიდატთა მიმდინარე, მეოთხედური და წლიური შეფასების ნიშნები. აკადემიურ წარმატებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ კომკავშირულ და საზოგადოებრივ საქმიანობას;

— მკაცრი კონტროლი დააწესონ ექსტერნის წესით გამოცდების მიმდინარეობაზე. აღმოფხვრან ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის, პროტექციონიზმის, თვალისახვევის ყოველგვარი გამოვლინება;

— გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადონ ატესტატის საშუალო არითმეტიკული ბალის ხელოვნურად გაზრდის მიზნით მიმდინარე, მეოთხედური და წლიური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს „ოქროს მედლისა" და „მაღალქულიანი" ატესტატის უსაფუძვლოდ მაძიებელთა მომრავლებას, დეზორგანიზაცია შეაქვს კურსდამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციაში;

— შეისწავლონ და ღრმად გააანალიზონ გამოცდების შედეგები, მკაცრად ,შეურიგებლად იმსჯელონ გამოვლენილ დარღვევათა და დამნაშავეთა შესახებ.

2. სკოლის დირექტორებმა, დირექტორის მოადგილეებმა:

— პედაგოგიურ კოლექტივებში ღრმად და ამომწურავად განიხილონ საგამოცდო ინსტრუქციის თითოეული პუნქტი, შესაბამისი ადგილები განუმარტონ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს;

— დროულად მოიმარაგონ გამოცდებისათვის საჭირო მასალა, უზრუნველყონ რადიოქსელის შეუფერხებლად, გამართულად მუშაობა, წესრიგი სასკოლო შენობასა და სკოლის ეზოში;

— გამოცდებისათვის მზადება, კონსულტაციები წარმართონ სპეციალური გეგმის, შესაბამისი ცხრილების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დამატებით გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობას. უზრუნველყონ საგაზაფხულო, დამატებითი და საშემოდგომო გამოცდების მაღალორგანიზებულად ჩატარება;

— საგამოცდო კომისიის წევრებად შეარჩიონ სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე პედაგოგები. შექმნან გამოცდებზე კეთილგანწყობილების, მომთხოვნელობისა და ობიექტურობის ატმოსფერო;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ რვაკლას და საშუალო სკოლადამთავრებულთა პროფესიულ ორიენტაციას, მათი შემდგომი საქმიანობის სწორად განსაზღვრას, მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებს სკოლის კედლებშივე ჩამოუყალიბდეთ სწორი, მართებული დამოკიდებულება თავიანთი მომავალი საქმიანობისადმი, ობიექტური წარმოდგენა შეექმნათ საკუთარ ცოდნასა და შესაძლებლობებზე; ამ საქმეში ეფექტურად გამოიყენონ რვაკლას და საშუალო სკოლადამთავრებულთა რეკომენდაცია-დახასიათებები, რომელშიც ნათლად, მკაფიოდ, პედგოგიური პრინციპების სრული დაცვით იქნება წარმოდგენილი მოსწავლის ინდივიდუალური მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალურ-ფსიქოლოგიური სახე, სრული და ამომწურავი ცნობები მის საქმიანობაზე, უნარ-ჩვევებზე, მიდრეკილებასა და გატაცებაზე;

— სისტემატურად იზრუნონ საშუალო სკოლადამთავრებულთა შრომით მოწყობაზე, რვაკლასდამთავრებულთა შემდგომ სწავლებაზე. მიაღწიონ საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განუხრელად შესრულებას.

3. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციაში დაშვებული შეცდომებისათვის, რაც გამოიხატება საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსანთა და ექსტერნის წესით გამოსაცდელთა ნამუშევრების არაობიექტურად შეფასებაში, მოსწავლეთა მიმდინარე, მეოთხედური, წლიური და საბოლოო ნიშნების გამოყვანის არასათანადო კონტროლით, მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ჩხოროწყუს, ყვარლის, თიანეთის, დმანისის, საგარეჯოს, ლენტეხის, ლენინგორის, სამტრედიის, მცხეთის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონების, ქ. ცხინვალის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები: ამხ. ამხ. შ. ფირცხალავა, რ. შავგულიძე, დ. გონჯილაშვილი, მ. თაბაგარი, ნ. ჭანტურია, ი. ჩანქსელიანი, ნ. ხეტეევი, კ. ძნელაძე, თ. აბესაძე, გ. ლობჟანიძე, პ. ვოსკანიანი, რ. მელტონიანი, რ. ტადტაევი;

— მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ნ. ბოსტოღანაშვილი (წითელწყაროს რაიონი) და გ. ქვრივიშვილი (გარდაბნის რაიონი) განთავისუფლებული არიან განათლების განყოფილების გამგის თანამდებობიდან.

4. კოლეგიის გადაწყვეტილება „1978—1979 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“ განხილულ იქნეს სკოლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

5. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. ფანჩულიძე).

მ ი ნ ი ს ტ რ ი      ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об организованном проведения экзаменов в общеобразовательных школах республики в 1978—1979 учебном году

**26 апреля 1979 года**

Коллегия Министерства просвещения отмечает, что за последние годы осуществлены значительные мероприятия по обеспечению организованного проведения экзаменов в общеобразовательных школах. Школы своевременно получили методические указания и рекомендации, соответствующую документацию. Внедрение практики дополнительных экзаменов вместо осенних, дало хороший результат. Важным событием явилось постановление Министерства просвещения Грузинской ССР от 8 декабря 1977 года «О серьезных нарушениях при оценке знаний учащихся и выдаче аттестатов в общеобразовательных средних школах республики», которым строго определялась личная ответственность руководства школы, учителей, местных органов народного образования в борьбе против либерализма и протекционизма в деле оценки знаний учащихся.

Анализ результатов экзаменов прошлого года в общеобразовательных школах республики и изучение работы, проделанной местными руководящими органами народного образования по организованному их проведению свидетельствует, что наряду с определенными успехами, имеются и значительные недостатки, и, что самое главное, в деле оценки знаний учащихся все еще не искоренены необъективность, либерализм и протекционизм, а также факты грубого нарушения Устава школы и Инструкции об экзаменах.

Проверкой установлено, что по-прежнему встречаются

ეროვნული ბიბლიოთეკა

случаи искуственного завышения среднеарифметического балла аттестата, переправки, подчистки, неправильного выведения текуших, четвертных и годовых оценок с целью выдачи золотой медали и отличного аттестата, либеральной, необъективной оценки знаний учащихся на экзаменах (Кварельский, Тианетский и Сагареджойский районы). Серьезными недостатками характеризуется проведение экзаменов в порядке экстерна и контроль за их ходом (Самтредский, Мцхетский, Лагодехский, Богдановский и Цалкский районы).

Заставляет задуматься то обстоятельство, что после рассмотрения работ кандидатов на золотую медаль, представленных школами и местными органами народного образования, ряду учащихся (Чхороцкусский, Телавский Цителцкаройский, Гардабанский, Лентехский, Дманисский, Ленингорский районы и г. Цхинвали) было отказано в получении медалей.

Формализмом характеризуется вопрос выдачи характеристик и рекомендаций выпускникам школы, не учитываются объективные индивидуальные данные, особенности характера; личность молодого человека не представлена конкретно и ярко в учебе, общественной жизни, в отношениях с товарищами; более того, необъективной характеристикой, искусственно завышенными оценками учителя создают у учащихся неправильное представление о своих возможностях, мешают их правильной профессиональной ориентации, наносят серьезный ущерб делу коммунистического воспитания подростающего поколения.

Результаты вступительных экзаменов в вузы республики говорят о нарушениях, имеющих место в практике проверки и оценки знаний учащихся. Подавляющее большинство выпускников средних школ, даже те, кто имеют высокие баллы в аттестате и отдельные медалисты не могут на вступительных экзаменах получить положительной оценки.

В прошлом году вступительные экзамены в вузы республики сдавали 21.974 абитуриента из выпускников средних школ 1978 года. Из них положительные оценки получили 5.026 (22,9%). Из ряда городов и районов большое число выпускников, имеющих в аттестате среднеарифметический балл 4,5 и более, на экзаменах не смогли получить удовлетворительных оценок. Для иллюстрации вышеотмеченного

достаточны данные одного лишь Тбилисского государственного университета. Из абитуриентов этой категории по отдельным городам и районам неудовлетворительно были оценены: из Тбилиси — 528, Рустави — 61, Кутаиси — 30, Зугдиди — 29, Поти — 15, Гори — 15, Батуми — 9, Хашури — 56, Сагареджо — 41, Цителицкаро — 39, Зестафони — 25, Зугдидского района — 25, Гали — 19 и т. д.

В текущем году аттестат о среднем образовании получат более 90 тыс. выпускников, а до 98 тыс. закончат восемь классов. Задача особой важности — организованно провести экзамены в обстановке требовательности, объективности и доброжелательности; помочь молодежи в выборе дороги жизни, направлении выпускников восьмых классов в училища для получения среднего образования.

Анализ показателей прошлого года с этой точки зрения свидетельствует о том, что местные органы народного образования, руководство школ не относятся с надлежащей ответственностью к этому важному делу. Указанное подтверждает и то, что в настоящее время не учатся и не работают 141 выпускник восьмых классов и 2.391 выпускник средних школ.

С целью проведения экзаменов в текущем году на высоком организационном уровне коллегия решила:

1. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

— установить строгий контроль за подготовкой и ходом экзаменов в общеобразовательных школах, строго соблюдать «Инструкцию об экзаменах, переводе и выпуске учащихся общеобразовательных школ Грузинской ССР»;

— повысить ответственность директоров и педагогических коллективов каждой школы в деле объективной оценки знаний учащихся;

— укрепляя трудовую дисциплину и самодистиплину в педагогических коллективах обеспечить проведение выпускных, дополнительных и осенних экзаменов на высоком организационном уровне. Этот процесс тесно увязать с вопросами наукоснительного улучшения учебно-воспитательной работы;

— тщательно проверить текущие, четвертные и годовые оценки кандидатов на золотую медаль. Помимо академичес-

кой успеваемости особое внимание уделить их комсомольской и общественной деятельности;

— установить строгий контроль за ходом экзаменов в порядке экстерна. Искоренить в оценке знаний всякие проявления либерализма, протекционизма и очковтирательства;

— объявить решительную борьбу случаям неправильного выведения текущих, четвертных и годовых оценок с целью искусственного завышения среднеарифметического балла аттестата, что способствует увеличению необоснованных соискателей «золотой медали» и аттестата «с высоким баллом», вносит дезорганизацию в дело профессиональной ориентации выпускников;

— изучить и глубоко проанализировать результаты экзаменов, строго и с непримиримостью рассматривать выявленные нарушения и принять соотвтетствующие меры против нарушителей.

2. Директорам школ и их заместителям:

— глубоко и исчерпывающе рассмотреть в педагогических коллективах каждый пункт Инструкции об экзаменах, разъяснить соответствующие пункты учащимся и их родителям;

— своевременно снабдить школы необходимым для проведения экзаменов материалом, обеспечить беспрепятственную и исправную работу радиосети, порядок в здании школы и во дворе;

— подготовку к экзаменам и консультации проводить по специальному плану и соответствующему расписанию. Особое внимание уделить работе с учениками, которым предстоит сдать дополнительные экзамены. Обеспечить проведение весенних, дополнительных и осенних экзаменов на высоком организационном уровне;

— членам экзаменационной комиссии подобрать педагогов с соответствующим педагогическим опытом и образовательным цензом. Создать на экзаменах атмосферу доброжелательности, требовательности и объективности;

— особое внимание уделить профессиональной ориентации выпускников восьмых классов и средних школ; правильному определению ими дальнейшей их деятельности, добится, чтобы у учащихся уже в стенах школы сформировать правильное отношение к своей будущей деятельности, объективное представление о собственных знаниях и возможнос-

тях; в этом деле эффективно использовать рекомендации и характеристики выпускников восьмых классов и средних школ, в которых ярко и с польным соблюдением педагогических принципов будут представлены индивидуальные данные об ученике, полные и исчерпывающие сведения о его деятельности, навыках, стремлениях и увлечениях;

— систематически заботится о трудовом устройстве выпусников средних школ, добиться неукоснительного выполнения Закона о всеобщем обязательном среднем образовании.

3. За ошибки, допущенные в организации проведения экзаменов, что проявилось в необъективной оценке работ выпускников-медалистов средних школ и выпускников, сдавших в порядке экстерна, недостаточном контроле выведения текущих, четвертных, годовых и окончательных оценок учащихся, строго предупредить заведующих отделами народного образования Чхороцкусского, Кварельского, Тианетского, Дманисского, Сагареджойского, Лентехского, Ленингорского, Самтредского, Мцхетского, Лагодехского, Богдановского, Цалкского районов и г. Цхинвали тт.: Ш. Пирцхалава, Р. Шавгулидзе, Д. Гонджилашвили, М. Табагари, Н. Чантуриа, И. Чанкселиани, Н. Хетеева, К. Дзнеладзе, Т. Абесадзе, Г. Лобжанидзе, П. Восканяна, Р. Мелтоняна, Р. Тадтаева;

— принять к сведению, что Н. Бостоганашвили (Цителцкаройский район) и Г. Квривишвили (Гардабанский район) освобождены от должности заведующего отделом народного образования.

4. Решение коллегии «Об организованном проведении экзаменов в общеобразовательных школах республики в 1978-1979 учебном году» расмотреть в школах, на заседаниях педагогических советов.

5. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Управление школ (тов. Г. Панчулидзе).

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-2 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ**

1978 წლის 22 დეკემბერს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ჩატარდა ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-2 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსი დევიზით „მოწინავეთა გამოცდილება-ყველას!" გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 28 ქალაქისა და რაიონის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა 250 ნამუშევარი (ფერადი ტაბულები, ელექტროფიცირებული სადემონსტრაციო ნახაზები, მაკეტები, მოსწავლეთა სამუშაო რვეულები და სხვა).

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი მასალები თავისი შინაარსით და გარეგნული ფორმით ბევრად უკეთესი იყო წინა გამოფენა-კონკურსის მასალებთან შედარებით. გამოფენამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება, მოწინავეთა გამოცდილებას ფართოდ გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ხაზვის მასწავლებელთა დიდი ჯგუფი.

გამოფენა-კონკურსის პარალელურად გაიხსნა ორდღიანი თათბირ-სემინარი, რომელსაც 102 ხაზვის მასწავლებელი დაესწრო. სემინარზე მოწინავე პედაგოგების მიერ წაკითხული იქნა საინტერესო მოხსენებები.

გამოფენა-კონკურსის წარმატება განაპირობა რიგი განათლების განყოფილებების დროულმა გამოხმაურებამ ამ ღონისძიებისადმი. კერძოდ, თავი გამოიჩინეს ქ. თბილისის ლენინის, გორის, ორჯონიკიძის, ცხაკაიას, მახარაძისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა, მაგრამ იგივე არ ითქმის 1 მაისის და ოქტომბრის რაიონების, ქუთაისის, ხობის, ჩხოროწყუს სახალხო განათლების დარგის მუშაკებზე, სადაც ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადება-ჩატარების საქმეს.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-2 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი კონკურსში მონაწილე პედაგოგებისა და მოსწავლეთა დაჯილდოვების შესახებ (იხ. დანართი № 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1980 წლის 25 მარტს ჩატარდეს ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური კონკურსი დევიზით „მოწინავეთა გამოცდილება — ყველას!“

კონკურსის შედეგების შეჯამება და თათბირ-სემინარი მოეწყოს 25 მარტს ქ. თბილისში, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში.

3. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის ჟიური და სარედაქციო საბჭო (იხ. დანართი № 2).

4. დამტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი დებულება ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ (იხ. დანართი № 3).

5. ეთხოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს:

— პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსის ჩატარებაში.

6. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ფართოდ ჩააბან მასწავლებლები გამოფენა-კონკურსში.

7. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) 1980 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი დებულებისა და სიგელების დასაბეჭდად.

8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ გამოაქვეყნოს მასალა კონკურსის ჩატარების შესახებ.

9. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. ზ. ლომიძემ კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანართი № 1

**იმ მასწავლებლების სია, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით:**

1. ბერიძე ტატიანა ევგენის ასული — ადიგენის რაიონის აბასთუმნის საშუალო სკოლა
2. ბაქელიძე ლამარა სტეფანეს ასული — მახარაძის მე-4 საშუალო სკოლა
3. გოგინავა ჯუმბერ ივანეს ძე — ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა
4. გრიგოლაშვილი ლუიზა დავითის ასული — ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლა
5. გაჩეჩილაძე ევტიპიდა პიმენის ასული — ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლა
6. მაისურაძე ზელიმხან ივანეს ძე — თბილისის 39-ე საშუალო სკოლა
7. სტაროსტინი მიხეილ კონსტანტინეს ძე — გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
8. სააკიანი ვალოდია მელიქისეს ძე — ასპინძის რაიონის დამალინის საშუალო სკოლა
9. შარიქაძე ივანე თეოფილეს ძე — ორჯონიკიძის რაიონის ლელვნის საშუალო სკოლა
10. ხოფერია გრიგოლ ნიკოლოზის ძე — ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა
11. ცაგურია ვენერა ივანეს ასული — ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლა
12. ფიჩხაძე დავით იოსების ძე — ქ. ქუთაისის მე-10 და 28-ე საშუალო სკოლები
13. ჩუბინიძე გივი დომენტის ძე — ვანის რაიონის უხუთის საშუალო სკოლა
14. ვაშაკიძე მაყვალა ვასილის ასული — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა.

**II ხარისხის დიპლომით:**

1. ახალაია ლუდუკ გერმანეს ძე — ქ. ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლა
2. ცეცხლაძე ნუნუ შალვას ასული — ხელვაჩაურის რაიონის მახინჯაურის საშუალო სკოლა
3. ოჩხიკიძე ლევან ივანეს ძე — ვანის რაიონის მუქედის რვაწლიანი სკოლა.

დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს სიგელებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დადუნაშვილი მამია კირილეს ძე — ვანის მე-2 საშუალო სკოლა
2. ბართაია რამინ ამირანის ძე — ოჩამჩირის საშუალო სკოლა
3. ბეგიანი არშაკ არშაკის ძე — გაგრის მე-3 საშუალო სკოლა.

იმ მოსწავლეების სია, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით:

1. გაგუა ჯონი ნიკოლოზის ძე — ქ. ზუგდიდის მე-14 საშ. სკოლა
2. კვარაცხელია თინა შოთას ასული — ” ” ” ”
3. ალფენიძე მაია სერგოს ასული — ” ” ” ”
4. მინდიაშვილი ლია ალექსანდრეს ასული — ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლა
5. ადამაშვილი ნანა ამირანის ასული — ქ. გორის მე-6 საშ. სკოლა
6. ივანაშვილი ინა ალექსანდრეს ასული — ” ” ” ”
7. თავარქალოვა მარინა კარლოს ასული — ” ” ” ”
8. გაგლოევა რიმა ვარლამის ასული — ” ” ” ”
9. მელაძე მარინა რომანის ასული — ” ” ” ”
10. მხითაროვი გიორგი გიორგის ძე — ” ” ” ”
11. დანელია თამარ ომარის ასული — ” ” ” ”
12. აძიშვილი ლალი რევაზის ასული — ” ” ” ”
13. ბაიახჩევი კარენ სერგოს ძე ” ” ” ”
14. ხაბალაშვილი ელისო ამირანის ასული — ” ” ” ”
15. ჯანაევა ფატიმა ხსარის ასული — ” ” ” ”
16. ლიტვინოვა ირა ნიკოლოზის ასული — ” ” ” ”
17. იასამანოვი რამაზ ივანეს ძე — ” ” ” ”
18. ლომაია ალექსანდრე მიხეილის ძე — ” ” ” ”
19. ტურაშვილი მარინა ვახტანგის ასული — ” ” ” ”
20. ასტანჯელოვი იოსებ შოთას ძე — ” ” ” ”
21. დიდიაშვილი პაატა გივის ძე — ” ” ” ”
22. ტლაშაძე ნინელი ვახტანგის ასული — ” ” ” ”
23. მელიქიძე იგორ დურმიშხანის ძე — ” ” ” ”
24. ტერტერაშვილი ადა ვახტანგის ასული — ” ” ” ”
25. წახვაძე ნინო ვასილის ასული — ” ” ” ”
26. სუხიტაშვილი არტურ შალვას ძე — ” ” ” ”
27. ლაშხია მამუკა თენგიზის ძე — ” ” ” ”
28. ელიგულაშვილი იოსებ იაკობის ძე — ქ. ქუთაისის მე-10 საშ. სკოლა
29. ხახიაშვილი გია ილიას ძე — ” ” ” ”

30. ელიგულაშვილი იზოლდა ისახარის ასული — ქ. ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლა
31. წურწუმია დალი მიხეილის ასული — ცხაკაიას მე-5 საშ. სკოლა
32. გრიგოლია მურად კაპიტონის ძე — ” ” ” ”
33. ფოჩხუა ირინე გიორგის ასული — ცხაკაიას მე-2 საშ. სკოლა
34. ლომაია ნანი გურამის ასული — ცხაკაიას მე-3 საშუალო სკოლა
35. წურწუმია ზურაბ შოთას ძე — ” ” ” ”
36. ალანია გოჩა ოთარის ძე — ” ” ” ”
37. გოგავა ქეთევან ალექსანდრეს ასული — მახარაძის მე-4 საშ. სკოლა
38. სანიკოვი ვიტალი ვასილის ძე — ” ” ” ”
39. რუდაკოვი ვიქტორ ალექსანდრეს ძე — ” ” ” ”
40. სიმაშვილი ირმა უერომის ასული — ” ” ” ”
41. სულაქველიძე ინგა უშანგის ასული — ” ” ” ”
42. სალგალოვი იური დიმიტრის ძე — ” ” ” ”
43. ემიროვა მარინა ვლადიმერის ასული — ” ” ” ”
44. ნებრაგი გ. ი. — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა
45. ცაგარეიშვილი თ. ა. — ” ” ” ”
46. ბრეგაძე ი. ი. — ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლა
47. კუტალია მ. ა. — გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
48. გედენიძე ე. ი. — ” ” ” ”
49. ხაბეიშვილი ფ. ა. — ” ” ” ”
50. ჯოხაძე გ. ა. — ” ” ” ”
51. ყურაშვილი ლ. ი. — ” ” ” ”
52. აკობია ა. ი. — ” ” ” ”
53. ფირცხალავა გ. ა. — ” ” ” ”
54. ლემინჯავა ბ. ა. — ” ” ” ”
55. ლობიანი მ. ა. — გაგრის მე-3 საშუალო სკოლა
56. უსტიანი რ. მ. — ” ” ” ”

## დანართი № 2

### ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

1. დარჩია მამია დომენტის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. ელიოზიშვილი ალექსანდრე ვასილის ძე — განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე (მდივანი)
4. გვათუა გიორგი ვლადიმერის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში
5. გიორგობიანი გელა გიორგის ძე — განათლების სამინისტროს ინსპექტორი
6 შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის პროფესორი
7. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვის ლექტორი
8. გაჩეჩილაძე ევტიპიდა პიმენის ასული — გორის მე-6 საშუალო სკოლა
9. ბარამიძე მაყვალა გრიგოლის ასული — თბილისის 48-ე საშუალო სკოლა
10. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე — რესპუბლიკური პიონერთა სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
11. ერისთავი ნუნუ გიორგის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა
12. შანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე.

ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჟიურის შემადგენლობა

1. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის პროფესორი (თავმჯდომარე)
2. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი (მოადგილე)

3. **მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე** — რესპუბლიკური პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
4. **ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული** — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე
5. **ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე** — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე.

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის სარედაქციო საბჭო**

1. **ბარამიძე მაყვალა გრიგოლის ასული** — თბილისის 48-ე საშუალო სკოლა
2. **ერისთავი ნუნუ გიორგის ასული** — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა
3. **ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე** — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე
4. **გაჩეჩილაძე ევტიპიდა პიმენის ასული** — გორის მე-6 საშუალო სკოლა
5. **ფიჩხაძე დავით იოსების ძე** — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა.

## დანართი № 3

## დებულება

### ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ

ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკურ გამოფენა-კონკურსს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე მუშა-ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების ხაზვის მასწავლებლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ნორჩ მხაზველთა წრის ხელმძღვანელებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსის ჩატარების მიზანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმის განხორციელება მოითხოვს საბჭოთა სკოლაში ძირეულად გაუმჯობესდეს მოზარდი თაობის აღზრდა, მოზარდი თაობისა, რომელიც ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ლამაზი მომავალია.

ეპოქისათვის დამახასიათებელმა ძლიერმა ტექნიკურმა პროგრესმა დააჩქარა ადამიანში გრაფიკული კულტურის ამაღლების აუცილებლობა. გრაფიკულ კულტურას საფუძველი სკოლაში ეყრება. ამიტომ, თითოეული პედაგოგის მოვალეობას შეადგენს ჯერ თვითონ დაეუფლოს ღრმად საგანსა და მისი სწავლების მეთოდს, ხოლო შემდეგ ასწავლოს. ამ გამოფენა-კონკურსის მიზანიც სწორედ ცოდნის შეძენა, გამოცდილების მიღება და განზოგადებაა.

## კონკურსის პირობები

გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იქნას: 1) თვითნაკეთი თვალსაჩინოებანი ტაბულების, მოდელების, სადემონსტრაციო ნახაზებისა და მოცემულობათა ბარათების სახით. 2) ხაზვის პოპულარიზაციის მიზნით გამოშვებული კედლის გაზეთი. 3) ღია გაკვეთილის, მეთოდური გაერთიანების და გაკვეთილების გეგმის ნიმუში. 4) საკონტროლო ნამუშევრები კლასების მიხედვით (თითო კლასიდან არა უმეტეს ორისა). 5) სამუშაო რვეული, რომელშიც შეტანილი იქნება სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული ყველა საკლასო სამუშაო და ზოგიერთი საშინაო დავალებაც.

№ 11 ფორმატზე შესრულებული საკონტროლო ნამუშევრები კლასების მიხედვით ჩაკრული უნდა იყოს ალბომში, ხოლო ხაზვის წრის წევრთა ნამუშევრები — ცალკე ალბომში.

კონკურსის მონაწილე ამა თუ იმ სკოლის მასწავლებელს შეუძლია წარმოადგინოს არა უმეტეს 4 მოსწავლის ნამუშევარი.

გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი ყველა სახის ნამუშევარზე გარკვევით იყოს აღნიშნული რაიონი (ქალაქი), სკოლა, გვარი, სახელი, მამის სახელი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალა კონკურსში მონაწილეობის უფლებას დაკარგავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Об итогах II Респуликанской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения и проведении III Республиканской выставки-конкурса

**26 апреля 1979 года**

22 декабря 1978 года в ЦИУУ была проведена II Республиканская выставка-конкурс работ учащихся и учителей черчения под девизом «Опыт передовиков-всем!». На выставке было представлено 250 работ учащихся и учителей черчения из 28 городских и районных школ республики (цветные таблицы, электрифицированные демонстрационные чертежи, макеты, рабочие тетради учащихся и т. д.).

Материалы, представленные на высттавку-конкурс по своему содержанию, форме, качеству исполнения были гораздо лучше, чем на предыдущей выставке. Выставка полностью оправдала свое назначение, с опытом передовиков широко ознакомились учителя республики.

Одновременно с выставкой-конкурсом открылось совещание-семинар, на котором присутствовало 102 учителя черчения. На семинаре были заслушаны доклады передовых учителей республики, отражающие интересный опыт преподавателя.

Успех выставки-конкурса обусловил своевременный отклик отделов народного образования на это мероприятие. Особенно отличились отделы народного образования Ленинского района г. Тбилиси, Горийского, Орджоникидзевского, Цхакаевского, Махарадзевского и других районов. Без должного внимания отнеслись к подготовке и проведению конкурса ОНО Первомайского и Октябрьского районов г. Тбилиси, Хобского и Чхороцкусского районов, гороно Кутаиси.

Коллегия решила:

1. Утвердить проект, представленный оргкомитетом II Республиканской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения о награждении педагогов и учащихся, принявших участие в конкурсе (см. приложение № 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. Провести 25 марта 1980 года III Республиканский конкурс работ учащихся и учителей черчения под девизом «Опыт передовиков — всем!».

Подытоживание результатов конкурса и совещание-семинар провести 25 марта в г. Тбилиси, в ЦИУУ.

3. Создать Республиканский оргкомитет, жюри конкурса и редакционный совет для обеспечения организованной подготовки и проведения конкурса (см. приложение № 2).

4. Утвердить Положение, представленное кабинетом черчения ЦИУУ о проведении III Республиканского конкурса работ учащихся и учителей черчения (см. приложение № 3).

5. Просить Грузинский политехнический институт имени В. И. Ленина и Тбилисский педагогический институт им. А. С. Пушкина:

— оказать практическую помощь ЦИУУ в проведении выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения.

6. Городским и районным отделам народного образования республики широко вовлечь учителей в выставку-конкурс.

7. Главному управлению снабжения и подсобных предприятий (тов. О. Кереселидзе) выделить ЦИУУ на 1980 год необходимое количество бумаги для печатания Положения и грамот.

8. Газете «Сахалхо ганатлеба» обупликовать материал о проведении конкурса.

9. Заместителю Министра просвещения Грузинской ССР тов. З. Ломидзе установить контроль за выполнением настоящего решения.

Министр **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## Приложение №1

**Список учителей, награжденных дипломом 1-ой степени Министерства просвещения Грузинской ССР:**

1. **Беридзе Татьяна Евгеньевна** — Абастуманская средняя школа Адигенского района
2. **Баджелидзе Ламара Степановна** — 4-я средняя школа г. Махарадзе
3. **Гогинава Джумбер Иванович** — 5-я средняя школа г. Цхакаиа
4. **Григолашвили Луиза Давидовна** — 2-я средняя школа г. Гори
5. **Гачечиладзе Евтипида Пименовна** — 6-я средняя школа г. Гори
6. **Майсурадзе Зелимхан Иванович** — 39-я средняя школа г. Тбилиси
7. **Старостин Михаил Константинович** — 1-я средняя школа г. Гагра
8. **Саакян Володя Меликисович** — Дашапинская средняя школа Аспиндзского района
9. **Шарикадзе Иван Теофилович** — Легвнская средняя школа Орджоникидзевского района
10. **Хопериа Григорий Николаевич** — 2-я средняя школа г. Цхакаиа
11. **Цагуриа Венера Ивановна** — 3-я средняя школа г. Цхакаиа
12. **Пичхадзе Давид Иосифович** — 10-я и 28-я средние школы г. Кутаиси
13. **Чубинидзе Гиви Доментьевич** — Ухутская средняя школа Ванского района
14. **Вашакидзе Маквала Васильевна** — 24-я средняя школа г. Тбилиси

**II-ой степени:**

1. **Ахалаиа Лудук Германович** — 14-я средняя школа г. Зугдиди
2. **Цецхладзе Нуну Шалвовна** — Махинджаурская средняя школа Хелвачаурского района
3. **Очхикидзе Леван Иванович** — Мукедская восьмилетняя школа Ванского района

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Награждены Грамотой Министерства просвещения:**

1. **Дадунашвили Мамиа Кириллович** — Ванская 2-я средняя школа
2. **Бартаиа Рамин Амиранович** — Очамчирская средняя школа
3. **Бегиян Аршак Аршакович** — 3-я средняя школа г. Гагра

**Список учащихся, награжденных грамотой Министерства просвещения Грузинской ССР:**

1. **Гагуа Джони Николаевич** — 14-я сред. школа г. Зугдиди
2. **Кварацхелиа Тина Шотаевна** » » » »
3. **Алпенидзе Маиа Сергеевна** » » » »
4. **Миндиашвили Лиа Александровна** — 2-я сред. школа г. Гори
5. **Адамашвили Нана Амирановна** — 6-я средняя школа г. Гори
6. **Иванишвили Инна Александровна** — » » » »
7. **Таваркалова Марина Карловна** — » » » »
8. **Гаглоева Рима Варламовна** — » » » »
9. **Меладзе Марина Романовна** — » » » »
10. **Мхитаров Гиоргий Гиоргиевич** — » » » »
11. **Данелиа Тамара Омаровна** — » » » »
12. **Адзишвили Лали Ревазовна** — » » » »
13. **Баяхчев Карен Сергеевич** — » » » »
14. **Хабалашвили Элисо Амирановна** — » » » »
15. **Джанаева Фатьма Хсаровна** — » » » »
16. **Литвинова Ира Николаевна** — » » » »
17. **Иасаманов Рамаз Иванович** — » » » »

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| 18. | Ломаиа Александр Михаилович | — » » » » |
| 19. | Турашвили Марина Вахтанговна | — » » » » |
| 20. | Астанджелов Иосиф Шотаевич | — » » » » |
| 21. | Дидишвии Паата Гивиевич | — » » » » |
| 22. | Тлашадзе Нинель Вахтанговна | — » » » » |
| 23. | Меликидзе Игорь Дурмишханович | — » » » » |
| 24. | Тертерашвили Ада Вахтанговна | — » » » » |
| 25. | Хахвадзе Нана Васильевна | — » » » » |
| 26. | Сухиташвили Артур Шалвович | — » » » » |
| 27. | Лашхиа Мамука Тенгизович | — » » » » |
| 28. | Элигулишвили Иосиф Яковлевич | — 10-я сред. школа г. Кутаиси |
| 29. | Хахиашвили Гиа Ильич | — » » » » |
| 30. | Элигулашвили Изольда Исахаровна | — 28-я сред. школа г. Кутаиси |
| 31. | Цурцумиа Дали Михаиловна | — 5-я сред. школа г. Цхакаиа |
| 32. | Григолиа Мурад Капитонович | — 5-я сред. школа г. Цхакаиа |
| 33. | Почхуа Ирина Гиоргиевна | — 2-я сред. школа г. Цхакаиа |
| 34. | Ломаиа Нани Гурамовна | — 3-я сред. школа г. Цхакаиа |
| 35. | Цурцумиа Зураб Шотаевич | — » » » » |
| 36. | Алания Гоча Отарович | — » » » » |
| 37. | Гогава Кетеван Александровна | — 4-я сред. школа г. Махарадзе |
| 38. | Саников Виталий Васильевич | — » » » » |
| 39. | Рудаков Виктор Александрович | — » » » » |
| 40. | Симашвили Ирма Уэромовна | — » » » » |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| 41. Сулаквелидзе Инга Ушанговна | — » » » » |
| 42. Салгалов Юрий Димитриевич | — » » » » |
| 43. Емирова Марина Владимировна | — » » » » |
| 44. Небраг Г. И. | 10-я сред. школа г. Кутаиси |
| 45. Цагареишвили Т. А. | — » » » » |
| 46. Брегадзе И. И. | — 28-я сред. школа г. Кутаиси |
| 47. Куталиа М. А. | — 1-я средняя школа г. Гагра |
| 48. Геденидзе Е. И. | — » » » » |
| 49. Хабеишвили Ф. А. | — » » » » |
| 50. Джохадзе Г. А. | — » » » » |
| 51. Курашвили Л. И. | — » » » » |
| 52. Акобиа А. И. | — » » » » |
| 53. Пирцхалава Г. А. | — » » » » |
| 54. Леминджава Б. А. | — » » » » |
| 55. Лобян М. А. | — 3-я средняя школа г. Гагра |
| 56. Устян Р. М. | — » » » » |

**Приложение №2**

**Состав оргкомитета III Республиканской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения**

1. **Дарчиа Мамиа Доментьевич** — директор ЦИУУ (председатель)
2. **Элиозишвили Александр Васильевич** — Зам. начальника Управления школ Министерства просвещения (заместитель)
3. **Чахава Изольда Вахтанговна** — заведующая кабинетом черчения ЦИУУ (секретарь)
4. **Гватуа Гиоргий Владимерович** — заместитель директора ЦИУУ по научной части
5. **Гиоргобиани Гела Гиоргиевич** — инспектор Министерства просвещения
6. **Шавгулидзе Анзор Сергеевич** — профессор кафедры начертательной геометрии Грузинского политехнического института
7. **Эпиташвили Альфред Давидович** — лектор черчения Педагогического института им. А. С. Пушкина

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. **Гачечиладзе Евтипида Пименовна** — 6-я средняя школа г. Гори
9. **Барамидзе Маквала Григорьевна** — 48-я средняя школа г. Тбилиси
10. **Мачавариани Димитрий Ильич** — заведующий кабинетом черчения Республиканского дворца пионеров и школьников
11. **Эристави Нуну Гиоргиевна** — 147-я средняя школа г. Тбилиси
12. **Чантуриа Джемал Акакиевич** — заведующий кабинетом черчения ИУУ г. Тбилиси

**Состав жюри III Республиканской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения**

1. **Шавгулидзе Анзор Сергеевич** — профессор кафедры начертательной геометрии Грузинского политехнического института (председатель)
2. **Эпиташвили Альфред Давидович** — лектор Педагогического института им. А. С. Пушкина
3. **Мачавариани Димитрий Ильич** — заведующий кабинетом черчения Республиканского дворца пионеров
4. **Чахава Изольда Вахтанговна** — заведующая учебно-методическим кабинетов черчения ЦИУУ
5. **Чантуриа Джемал Акакиевич** — заведующий кабинетом черчения ИУУ г. Тбилиси

**Редакционный совет III Республиканской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения**

1. **Барамидзе Маквала Григорьевна** — 48-я средняя школа г. Тбилиси
2. **Эристави Нуну Гиоргиевна** — 147-я средняя школа г. Тбилиси
3. **Чантуриа Джемал Акакиевич** — заведующий кабинетом черчения ИУУ г. Тбилиси
4. **Гачечиладзе Евтипида Пименовна** — 6-я средняя школа г. Гори
5. **Пичхадзе Давид Иосифович** — 10-я средняя школа г. Кутаиси

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Приложение №3

## Положение

## О проведении III Республиканской выставки-конкурса учащихся и учителей черчения

III Республиканскую выставку-конкурс работ учащихся и учителей черчения проводит ЦИУУ Министерства просвещения Грузинской ССР.

К участию в конкурсе привлекаются учителя черчения общеобразовательных восьмилетних и средних школ, школ-инетрнатов, вечерних средних школ рабочей молодежи и руководители кружков юных чертежников при внешкольных учреждениях.

## Цель проведения выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения

Осуществление плана коммунистического строительства, намеченного XXV съезром КПСС, требует коренного улучшения воспитания подрастающего поколения.

Рост технического прогресса, характерный для нашей эпохи, вызвал необходимость повышения графической культуры. Основы графической культуры закладываются в школе. Поэтому на современном этапе с особой остратой встает вопрос совершенствования педагогического мастерства учителей черчения. Цель выставки углубление знаний, обобщение и популяризация передового опыта. Выставка-конкурс работ учащихся и учителей черчения должна способствовать повышению уровня преподавания черчения в общеобразовательных школах.

## Условия конкурса

На выставку представляются:

1. самодельные наглядные пособия в виде таблиц, моделей, демонстрационных чертежей и карточек с заданиями;

2. Стенгазеты, выпущенные с целью популяризации черчения;

3. образцы открытых уроков, плана работы методобъединений и планы уроков;

4. контрольные работы по классам (с каждого класса не более двух);

5. рабочие тетради, в которые заносятся все классные рабочие и некоторые домашние задания, выполненные за учебный год.

Контрольные работы по классам, выполненные на формате № 11 представляются в альбомах, а работы членов кружка черчения — в отдельном альбоме.

Учитель школы, принимавший участие в конкурсе, может представить работы не более 4-х учащихся.

На всех работах, представленных на выставку-конкурс, разборчиво указывается район (город), школа, фамилия, имя, отчество исполнителя. В противном случае автор, представленных на конкурс материалов, теряет право на участие в конкурсе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება

## რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ 1979 წელს ხორცის წარმოების ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სისტემის ბევრმა ორგანიზაცია-დაწესებულებამ დიდი მუშაობა ჩაატარა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ ხორცის წარმოების გაზრდის შესახებ მოცემული დავალების შესასრულებლად.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა წარმატებით შეასრულეს ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმა და ერთგვარი გამოცდილებაც შეიძინეს მომავალში ამ საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აფხაზეთის ასსრ, გურჯაანის, ადიგენის, დმანისის, მცხეთის, აბაშის, ქარელის, ყვარლის, სიღნაღისა და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაკებმა და მოსწავლე-აღასზრდელებმა. ასე მაგალითად: გურჯაანის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. ა. კახაბერი) რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მიერ 1978 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 10,0 ტონა ხორცი ნაცვლად დავალებით მოცემული 1,5 ტონისა, ხოლო ადიგენის რაიონის (სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. მერაბიშვილი) მიერ 10,0 ტონა — ნაცვლად გეგმიური 4,0 ტონისა და ა. შ.

ამასთან ერთად, განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, იმის გამო, რომ ბევრ სკოლა-ინტერნატში, საბავშვო სახლსა და სხვა საბავშვო დაწესებულებაში ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ ხორცის წარმოების გაზრდისათვის არსებულ რეზერვებს, ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ახალქალაქის, ახმეტის, ზესტაფონის, კასპის, სამტრედიის თეთრიწყაროს) თავისი უუნარობის გამო ვერ გამოიჩინა საჭირო დარაზმულობა, პრინციპულობა და მომთხოვნელობა დაშვებული დავალების შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში, სამარცხვინოდ ჩაშალა ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების 1978 წლის გეგმის შესრულება.

აღნიშნული სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებმა (განათლების განყოფილების გამგეები: ა. გაბრიელიანი, დ. ნაროზაული, მ. სარალიძე, გ. შაქარაშვილი, კ. ძნელაძე, ლ. ჯინჯიხაძე და სხვა) უნდა გაითვალისწინონ დაშვებული დავალების განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მიმდინარე წელს ყოველი ღონე იხმარონ მის შესასრულებლად.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ 1979 წელს ხორცის წარმოების შემდგომი გაზრდის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. განესაზღვროს 1979 წელს სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების დავალება რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებს თანახმად № 1 დანართისა.

2. არსებული წესის თანახმად ნება დაერთოთ სახალხო განათლების ორგანოებს, რომლებზედაც დაშვებულია ხორცის წარმოებისა და დამზადების დავალება, შეისყიდონ გასასუქებლად გოჭები მოსახლეობიდან როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მოსახლეობიდან გოჭების შესყიდვა მოხდეს უნაღდო ანგარიშსწორების წესით იმ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით, რომელსაც ადგილზე დაკისრებული აქვს ეს ფუნქცია (სსრკ სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორა ნებას იძლევა გადაურიცხონ ამ ორგანიზაციებს შესყიდული გოჭების ღირებულება საწარმოებისა და დაწესებულებების ანგარიშიდან).

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ს/ოსეთის საოლქო, რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა განიხილონ და გადაწყვიტონ სკოლა-ინტერნატებთან, საბავშვო სახლებთან და სხვა დაწესებულებებთან მეცხოველეობის წარმოების დამხმარე სასოფლო მეურნეობების შექმნის საკითხი, დასახონ და დაამტკიცონ ამ მიმართებით განსახორციელებელ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა და წარმოუდგინონ იგი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 15 მაისამდე:

— გოჭების კვება, ძირითადად, განახორციელონ მოსახლეობის კვების, საბავშვო დაწესებულებათა სასადილო-ბუფეტების ნარჩენების, ტყის ნაყოფის რესურსების გამოყენებით და აგრეთვე საბავშვო დაწესებულებებისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე საკვების წარმოების გაფართოების ხარჯზე.

— დააწესონ მკაცრი კონტროლი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გოჭების შესყიდვისა და მათი სუქების დადგენილი წესების დაცვაზე:

— მიღებული დავალების შესრულების მიმდინარეობაზე ყოველი თვის 5 რიცხვისათვის წარმოადგინონ ინფორმაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოში თანახმად თანდართული ფორმისა (დანართი № 2).

4. მიღებული იქნას ცნობად, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 27 თებერვლის № 160 დადგენილებით „საწარმოთა, ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციათა და დაწესებულებათა დამხმარე სასოფლო მეურნეობის შე-სახებ" დაავალეს:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებს — გამოუყონ, დადგენილი წესის შესაბამისად, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთები დამხმარე სასოფლო-მეურნეობის მოსაწყობად.

ბ) გააფართოონ მეღორეობის რეპროდუქტორების ქსელი საწარმოებსა და დაწესებულებებზე სანაშენე მოზარდეულის მისაყიდად.

5. განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე):

ა) დროულად უზრუნველყოს გამოყოფილი კომბინირებული საკვების განაწილება განათლების ორგანოებზე დაშვებული დავალების ხვედრითი წილისა და შესრულების მიმდინარეობის გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოს ყოველთვიურად დაშვებული დავალების შესრულების მიმდინარეობის აღრიცხვა და დადგენილი ფორმით ინფორმაციის მიწოდება საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის.

6. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. მ. ქოჩაკიძეს.

**მინისტრი** **Ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დანართი №1**

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

**რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანიზაციების მიერ 1979 წელს ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ**

**(ტონა)**

| №№ | ორგანიზაციის დასახელება | დავალება 1979 წ. | შ ე ნ ი შ ვ ნ ა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | აფხაზეთის ასსრ | 30 | |
| 2 | აჭარის ასსრ | 20 | |
| 3 | სამხრეთ ოსეთის ა/ო | 10 | |
| 4 | ჭიათურა | 3 | |
| 5 | ტყიბული | 7 | |
| 6 | აბაშის რაიონი | 12 | |
| 7 | ადიგენის " | 15 | |
| 8 | ამბროლაურის " | 2 | |
| 9 | ასპინძის " | 6 | |
| 10 | ახალქალაქის " | 3 | |
| 11 | ახალციხის " | 7 | |
| 12 | ახმეტის " | 5 | |
| 13 | ბოგდანოვკის " | 2 | |
| 14 | ბოლნისის " | 1 | |
| 15 | ბორჯომის " | 1 | |
| 16 | ვანის " | 7 | |
| 17 | გარდაბნის " | 3 | |
| 18 | გეგეჭკორის " | 2 | |
| 19 | გორის " | 6 | |
| 20 | გურჯაანის " | 12 | |
| 21 | დმანისის " | 5 | |
| 22 | დუშეთის " | 6 | |
| 2 | ზესტაფონის " | 3 | |
| 24 | ზუგდიდის " | 4 | |
| 25 | ყაზბეგის " | 1 | |
| 26 | ქარელის " | 11 | |
| 27 | კასპის " | 5 | |
| 28 | ყვარლის " | 10 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| 29 | ლაგოდეხის | „ | 6 | |
| 30 | ლანჩხუთის | „ | 2 | |
| 3 | ლენტეხის | „ | 1 | |
| 32 | მარნეულის | „ | 2 | |
| 33 | მახარაძის | „ | 10 | |
| 34 | მაიაკოვსკის | „ | 1 | |
| 35 | მესტიის | „ | 2 | |
| 36 | მცხეთის | „ | 4 | |
| 37 | ონის | „ | 1,5 | |
| 38 | ორჯონიკიძის | „ | 1,5 | |
| 39 | საგარეჯოს | „ | 4 | |
| 40 | სამტრედიის | „ | 3 | |
| 41 | საჩხერის | „ | 1 | |
| 42 | სიღნაღის | „ | 8 | |
| 43 | თელავის | „ | 6 | |
| 44 | თერჯოლის | „ | 12 | |
| 45 | თეთრიწყაროს | „ | 2 | |
| 46 | თიანეთის | „ | 1 | |
| 47 | ხაშურის | „ | 3 | |
| 48 | ხობის | „ | 1 | |
| 49 | ცაგერის | „ | 1 | |
| 50 | წალენჯიხის | „ | 1 | |
| 51 | წალკის | „ | 1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი №2

# ანგარიში

## გოჭების სუქებაზე დაყენებისა და სახელმწიფოზე ხორცის მიყიდვის შესახებ

————————————————რაიონის განათლების სისტემის ორგანიზაციებმა თანახმად დავალებისა 1979 წელს სახელმწიფოს უნდა მიყიდონ ———————— ტონა ღორის ხორცი, ზემოთ აღნიშნული დავალების შესასრულებლად ა/წლის ————————ს მდგომარეობით შესყიდულია და სუქებაზეა დაყენებული ———— ————————სული ღორი.

გასულ ———————— თვეში სახელმწიფოს მიეყიდა ————ტონა ხორცი. მომავალ ———————— თვეში გათვალისწინებული გვაქვს ჩავაბაროთ ———————————— ტონა.

განათლების განყოფილების

გამგე ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## РЕШЕНИЕ КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### О мерах по повышению производства мяса органами народного образования республики в 1979 году

**26 апреля 1979 года**

Коллегия Министерства просвещения отмечает, что большинство организаций и учреждений системы просвещения провели большую работу во исполнение задания руководящих партийных и советских органов республики по повышению производства мяса.

В результате проведенных мер органы народного образования республики успешно выполнили годовой план сдачи государству мяса, приобрели в этом деле определенный положительный опыт. Особенно отличились работники органов народного образования и учащиеся — воспитанники Абхазской АССР, Гурджаанского, Адигенского, Дманисского, Мцхетского, Абашского, Карельского, Кварельского, Сигнахского и др. районов. Например учреждениями Гурджаанского района (заведующий отделом народного образования тов. А. Кахабери) в 1978 году сдано государству 10,0 тонн мяса, при плане 1,5 тонны; Адигенского района (заведующий отделом народного образования тов. П. Мерабишвили) 10,0 тонн при плане 4,0 тонн и т. д.

Вместе с тем коллегия Министерства просвещения отмечает, что во многих школах-интернатах, детских домах и детских учреждениях все еще полностью не используют резервов, имеющихся для роста производства мяса. Некоторые из районных отделов народного образования (Ахалкалаки, Ахмета, Зестафони, Каспи, Самтредиа, Тетрицкаро) из-за неумения мобилизовать коллективы, проявить инициативу, настойчивость и требовательность в деле выполнения порученного задания, позорно провалили план сдачи государству мяса на 1978 год. Руководители вышеотмеченных отделов народного образования (заведующие отделами народного образования: А. Габриэлян, Д. Нарозаули, М. Саралидзе, Г. Шакарашвили, К. Дзнеладзе, Л. Джинджихадзе и др.) должны учесть особую государственную важность данного задания и в текущем году сосредоточить усилия на его выполнении.

С целью дальнейшего повышения производства мяса на 1979 год органами народного образования республики коллегия Министерства просвещения решает:

1. Органами народного образования республики установить задание по сдаче мяса государству на 1979 год, согласно прироженению № 1.

2. В соответствии с имеющимся порядком разрешить органам народного образования, которым спущено задание по производству и заготовке мяса, закупить от населения как в республике, так и за ее предалами поросят для откармливания. Закупку поросят от населения производить в порядке безналичного расчета посредством тех колхозов, совхозов и межхозяйственных организаций, на которых на местах возложена эта функция (Республиканская контора Госбанка СССР разрешает перечисление этим организациям стоимость закупленных поросят со счетов предприятий и учреждений).

3. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, органам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики рассмотреть и решить вопрос создания при школах-интернатах, детских домах и других учреждениях подсобных хозяйств; наметить и утвердить конкретный план осуществляемых в этом направлении мероприятий и представить его Министерству просвещения ГССР до 15 мая 1979 года;

— откармливание поросят осуществлять за счет остатков питания населения, столовых и буфетов детских учреждений, использования ресурсов лесных плодов, а также расширения производства кормов на земельных участках, выделенных для детских учреждений;

— установить строгий контроль за соблюдением организациями и учреждениями установленных правил закупки и откармливания поросят;

— информацию о ходе выполнения полученного задания представлять в Главное управление снабжения Министерства просвещения Грузинской ССР 5 числа каждого месяца по прилагаемой форме (приложение № 2).

4. Принять к сведению, что ЦК КП Грузии и Совет Министров ГССР постановлением № 160 от 27 февраля 1979 года «О подсобном сельском хозяйстве предприятий, организаций и учреждений» обязали:

а) Министерство сельского хозяйства Грузинской ССР, Советы Министров Абхазской и Аджарской АССР, исполкомы Советов народных депутатов Юго-Осетинской АО, городов и районов — выделять предприятиям, организациям и учреждениям, в установленном порядке, земельные участки для создания подсобных сельских хозяйств;

б) расширить сеть репродукторов свиноводства для продажи предприятиям и учреждениям поросят.

5. Главному управлению снабжения Министерства просвещения (тов. О. Кереселидзе):

а) своевременно обеспечить распределение по органам народного образования выделенных комбинированных кормов с учетом удельной доли спущенного задания и хода его выполнения;

б) обеспечить ежемесячно учет хода выполнения спущенных заданий и представление, по установленной форме, информации для ЦСУ Грузинской ССР.

6. Контроль за выполнением настоящего решения возложить на Заместителя Министра тов. М. Кочакидзе.

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

Приложение № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ЗАДАНИЕ

### по производству и сдаче государству организациями народного образования республики мяса на 1979 г. (тонн)

| №№ | Наименование организации | Задание 1979 г. | Примечание |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | Абхазская АССР | 30 | |
| 2 | Аджарская АССР | 20 | |
| 3 | Юго-Осетинская АО | 10 | |
| 4 | Чиатура | 8 | |
| 5 | Ткибули | 7 | |
| 6 | Абашский р-н | 12 | |
| 7 | Адигенский р-н | 15 | |
| 8 | Амбролаурский р-н | 2 | |
| 9 | Аспиндзский р-н | 6 | |
| 10 | Ахалкалакский р-н | 3 | |
| 11 | Ахалцихский р-н | 7 | |
| 12 | Ахметский р-н | 5 | |
| 13 | Богдановский р-н | 2 | |
| 14 | Болнисский р-н | 1 | |
| 15 | Боржомский р-н | 1 | |
| 16 | Ванский р-н | 7 | |
| 17 | Гардабанский р-н | 3 | |
| 18 | Гегечкорский р-н | 2 | |
| 19 | Горийский р-н | 6 | |
| 20 | Гурджаанский р-н | 12 | |
| 21 | Дманисский р-н | 5 | |
| 22 | Душетский р-н | 6 | |
| 23 | Зестафонский р-н | 8 | |
| 24 | Зугдидский р-н | 4 | |
| 25 | Казбекский р-н | 1 | |
| 26 | Карельский р-н | 11 | |
| 27 | Каспский р-н | 5 | |
| 28 | Кварельский р-н | 10 | |
| 29 | Лагодехский р-н | 6 | |
| 30 | Ланчхутский р-н | 2 | |
| 31 | Лентехский р-н | 1 | |
| 32 | Марнеульский р-н | 2 | |
| 33 | Махарадзевский р-н | 10 | |
| 34 | Маяковский р-н | 1 | |
| 35 | Местийский р-н | 2 | |
| 36 | Мцхетский р-н | 4 | |
| 37 | Онский р-н | 1,5 | |
| 38 | Орджоникидзевский р-н | 1,5 | |
| 39 | Сагареджойский р-н | 4 | |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 40 | Самтредский р-н | 3 | |
| 41 | Сачхерский р-н | 1 | |
| 42 | Сигнахский р-н | 8 | |
| 43 | Телавский р-н | 6 | |
| 44 | Терджольский р-н | 12 | |
| 45 | Тетрицкаройский р-н | 2 | |
| 46 | Тианетский р-н | 1 | |
| 47 | Хашурский р-н | 3 | |
| 48 | Хобский р-н | 1 | |
| 49 | Цагерский р-н | 1 | |
| 50 | Цаленджихский р-н | 1 | |
| 51 | Цалкский р-н | 1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение № 2

# ОТЧЕТ

**об откармливании поросят и продаже государству мяса**

организации системы народного образования ————————
района в 1979 году государству должны продать ——————
тонн свиного мяса.

Во исполнение вышеуказанного задания по состоянию на———
————с. г.

закуплено и поставлено на откармливание ——————————
голов свиней.

В прошедшом ——————— месяце государству продано ———————тонн мяса. В будущем ——————— месяце предусмотрено сдать ——————— тонн.

**Заведующий отделом
народного образования**

**(подпись)**

## საქართველოს პროფსაბჭოს სამდივნოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის 1979 წლის 26/27 აპრილის გადაწყვეტილება

**მშთ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე 1979 წლის მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობის ჩატარების შესახებ**

რესპუბლიკაში მშთ ფიზკულტურული კომპლექსის შემდგომი დანერგვა-განვითარების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლის, ფიზკულტურასა და სპორტში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმის, ნაკრები გუნდის მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისა და მშთ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საკავშირო შეჯიბრებისათვის საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უკეთ მომზადების მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ გადაწყვიტეს:

1. ჩატარდეს 1979 წლის ივნისსა და ივლისში ქ. ტყიბულში მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადგუნდური პირველობის ფინალური შეჯიბრება.

2. დაევალოს საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებსა და შესაბამის პროფკავშირისა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს გაატარონ ქმედითი ღონისძიებები მშთ ნორმატივების მომზადება-ჩაბარებაში მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისა და მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, რისთვისაც:

ა) მშთ ნიშნოსანთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებში შექმნან სპეციალიზებული სექციები და ჯგუფები, რომლის მოსწავლეებთან გააძლიერონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, უზრუნველყონ ისინი საჭირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ინვენტარით, სპორტული ბაზებითა და კვალიფიციური მწვრთნელებით;

ბ) მშთ კომპლექსის მრავალჭიდში რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის უკეთ დაკომპლექტების, მისი მაღალ სპორტულ დონეზე მომზადებისა და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე საკავშირო შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობისათვის საქალაქო და სარაიონო შეჯიბრებებში გამარჯვებულ I, II და III საფეხურის ნიშნოსნებისაგან დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები, მიუჩინონ მათ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და სასწავლო მუშაობის სწორად წარმართვისათვის შეუქმნან სათანადო პირობები;

გ) ადგილებზე სათანადო ლექცია-მოხსენებების ჩატარებით, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის მშთ კომპლექსის მნიშვნელობას, როგორც ჯანმრთელობის გაკაჟებისა და სსრ კავშირის დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას.

2. რესპუბლიკის ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მოსამზადებლად ყველა სპორტულ ბაზებთან ჩამოაყალიბონ სპეციალური ჯგუფები, მიამაგრონ მათ საუკეთესო მწვრთნელები, გამოუყონ საჭირო სპორტული ინვენტარი და უზრუნველყონ მოსწავლეები სპორტული ფორმით.

აღნიშნული ჯგუფების მოსწავლეებთან პერიოდულად ჩაატარონ მშთ კომპლექსის მრავალჭიდში სხვადასხვა შეჯიბრებები, ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები.

3. ჟურნალ-გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის“, „მოლოდიოჟ გრუზიის“, „ლელოს“, „ნორჩი ლენინელის“, „მართვესა“ და „პიონერის“ რედაქციებმა, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდული და სპორტული გადაცემის რედაქციებმა ფართოდ გააშუქონ მოსწავლეთა შორის მშთ მრავალჭიდის შეჯიბრებების მსვლელობა.

4. მშთ მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე საქართველოს მოსწავლეთა 1979 წლის პირადგუნდური პირველობის დებულება და საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა დამტკიცდეს.

5. ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსს ამხ. ი. ი. ბოჭორიძეს, საქართველოს ალკკ

ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგეს ამხ. რ. ლომინაძეს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს ამხ. დ. ვ. კვინიკაძეს და საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსს ამხ. ნ. მესხს.

საქართველოს პროფსაბჭოს
თავმჯდომარე —

თ. მოსაშვილი

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი —

ჟ. შარტავა

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი —

ო. ქინქლაძე

საქართველოს მინისტრთა
საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის
კომიტეტის

თავმჯდომარე —

დ. პერტენავა

## РЕШЕНИЕ СЕКРЕТАРИАТА СОВПРОФА ГРУЗИИ, БЮРО ЦК ЛКСМ ГРУЗИИ, КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР И КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

### О проведении в 1979 году личнокомандного первенства учащихся по многоборию комплекса ГТО на приз газеты «Комсомольская правда»

26/27 апреля 1979 года

С целью дальнейшего внедрения и развития физкультурного комплекса ГТО по республике, широкого развертывания физкультурно-оздоровительной работы в общеобразовательных школах, вовлечения в регулярные занятия физкультурой всех школьников, совершенствования форм и методов учебы, внеклассной и внешкольной работы по физическому воспитанию, улучшения качества подготовки сборной команды республики для участия во Всесоюзном соревновании по многоорию ГТО на приз газеты «Комсомольская правда» бюро ЦК ЛКСМ Грузии, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР и коллегия Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР решили:

1. Провести в июне и июле 1979 года в г. Ткибули финальное соревнование Республиканского личнокомандного первенства учащихся по многоборию физкультурного комплекса ГТО на приз газеты «Комсомольская правда».

2. Поручить областному, городским и районным комитетом ЛКСМ Грузии, Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, а также соответствующим комитетам профсоюза и физкультуры провести действенные меры по массовому вовлечению учащихся в подготовку и сдаче нормативов комплекса ГТО и резкому улучшению работы, для чего:

а) в школьных физкультурных коллективах создать специализированные секции и группы для улучения качества

подготовки значкистов ГТО, усилить учебно-тренировочную работу с учащимися, обеспечить их необходимым спортивным инвентарем, спортивными базами и квалифицированными тренерами;

б) с целью лучшего укомплектования сборной команды учащихся по многоборию комплекса ГТО, подготовки ее на высоком спортивном уровне и успешного участия во Всесоюзном соревновании на приз газеты «Комсомольская правда» укомплектовать из значкистов I, II и III ступени, победивших в городских и районных соревнованиях, сборные команды, закрепить за ними высококвалифицированных тренеров и создать надлежащие условия для правильного ведения учебной работы;

в) проводя на местах соответствующие лекции и доклады ,посредством прессы, телевидения и радио широко пропагандировать среди учащейся молодежи значение комплекса ГТО, как одно из наилучших средств для закалки здоровья и подготовки молодежи к обороне Советского союза.

2. Добровольным спортивным обществам республики создать при всех спортивных базах специальные группы для подготовки значкистов комплекса ГТО, закрепить за ними лучших тренеров, выделить необходимый спортивный инвентарь и обеспечить учащихся спортивной формой.

С учащимися отмеченных групп провести различные соревнования по многоборию комплекса ГТО, экскурсии и туристические походы.

3. Редакциям журналов и газет «Ахалгазрда комунисти», «Молодежь Грузии», «Лело», «Норчи ленинели», «Мартве» и «Пионери», а также редакциям молодежных и спортивных передач Грузинского радио и телевидения широко освещать ход соревнования по многоборию ГТО.

4. Утвердить Положение личнокомандного первенства учащихся 1979 года по многоборию ГТО на приз газеты «Комсомольская правда» и состав оргкомитета.

5. Контроль за выполнением настоящего решения возложить на начальника Отдела физкультуры и спорта Совпрофа Грузии тов. Бочоридзе И. И., заведующего Отделом спорта и массово-оборонительной работы тов. Р. Ломинадзе, начальника Управления физического воспитания и спорта Министерства просвещения Грузинской ССР тов. Квиникадзе Д. В. и начальника Управления физического воспитания населения спорткомитета Грузии тов. Месхи И.

**Председатель Совпрофа Грузии**
**Т. МОСАШВИЛИ**

**Министр просвещения ГССР**
**О. КИНКЛАДЗЕ**

**Секретарь ЦК ЛКСМ Грузии**
**Ж. ШАРТАВА**

**Председатель Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР**
**Д. ПЕРТЕНАВА**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 11 მაისის ბრძანება № 289

### განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტების წარმოების საქმეში სერიოზული დარღვევების შესახებ

შემოწმებით და განათლების სამინისტროში შემოსული მასალების ანალიზით დადგინდა, რომ მიუხედავად უკანასკნელ ხანებში გატარებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ ნაწილში ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს მოწმობა-ატესტატების, მათი დუბლიკატებისა და ქების სიგელების მოთხოვნის, შენახვის, შევსებისა და გაცემის საქმეში.

მოწმობა-ატესტატები და ქების სიგელები არ ივსება შავი ტუშით, აკურატულად, გარკვეული ხელით, ქართულ და რუსულ ენებზე; არ არის სკოლის დირექტორის, სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილისა და არანაკლებ სამი მასწავლებლის ხელმოწერა, დოკუმენტის გაცემის თარიღი; გაურკვეველია, რომელ ენაზე სწავლების სკოლა დაამთავრა ახალგაზრდამ; არაა დასმული სკოლის გერბიანი ბეჭედი, ან დასმულია, მაგრამ არ ჩანს გერბი და სკოლის სრული სახელწოდება; არ ივსება პასპორტის ან დაბადების მოწმობის საფუძველზე; სხვაობაა ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის სახელის, მამის სახელის, გვარისა და ნიშნების ჩაწერაში; გვხვდება ამოფხეკის, გადასწორების, შეუვსებელ დოკუმენტებზე ხელის მოწერის, ბეჭდის დასმის ან სუფთა ბლანკების შენახვის ფაქტები: ხშირად სახალხო განათლების განყოფილებები და სკოლები მოწმობა-ატესტატების შესაცვლელად ან დუბლიკატის მისაღებად საბუთებს სათანადოდ არ აფორმებენ, მიღებას კი ანდობენ არაკომპეტენტურ პირებს.

სისტემატური ხასიათი მიიღო განათლების განყოფილებათა მიერ კურსდამთავრებულებზე გასაცემი მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების დაგვიანებით და ნაწილ-ნაწილ გატანამ.

ზემოაღნიშნული სერიოზული დარღვევების გამო ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ფუჭდება მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების ბლანკები. მხოლოდ გასულ, 1978 წელს რესპუბლიკაში სკოლების მიერ არასწორად შევსების გამო შეიცვალა 845 მოწმობა-ატესტატი, მათ შორის: აფხაზეთის ასსრ-ში — 90; ქ. ქუთაისში — 39, ქ. რუსთავში — 20, ქ. ზუგდიდში — 15, გარდაბნის რაიონში — 12, ახალქალაქის რაიონში — 30, ბოგდანოვკის რაიონში — 23, ბოლნისის რაიონში — 22, მარნეულის რაიონში —

ეროვნული ბიბლიოთეკა

24, სიღნაღის რაიონში — 14, თერჯოლის რაიონში —16, წალკის რაიონში—39, ქ. თბილისის რაიონებში — 161 და სხვა.

განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტების შენახვის წესების უხეში დარღვევის შედეგად 1978 წელს ჩხოროწყუს რაიონის საღამოს (ცვლის) საშუალო-სკოლიდან გაიტაცეს 1975-76 წლებში გასაცემი 18 ცალი შევსებული ატესტატი.

მიუხედავად კატეგორიული აკრძალვისა, შეუვსებელი ატესტატები აღმოჩნდა ლაგოდეხის, ვანის, მახარაძის, დუშეთის, სამტრედიის, სიღნაღის, ახალციხის, თერჯოლის, მარნეულის რაიონებისა და ტყიბულისა და ჭიათურის ზონის სახალხო განათლების განყოფილებებსა და სკოლებში.

მოწმობა-ატესტატების შესაცვლელად ან დუბლიკატის მისაღებად გადმოგზავნილი დოკუმენტები არ ფორმდება ინსტრუქციისა და მასზე თანდართული ნიმუშების შესაბამისად (თბილისის კალინინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, კიროვის რაიონების, ქ. ზუგდიდის, ბოლნისისა და გორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და მათი დაქვემდებარების რიგი სკოლები).

განსხვავებული ფერის მელნით არის ხელმოწერილი ქ. თბილისის 58-ე, რუსთავის მე-13, წალკის რაიონის ტაკილისის, ბოლნისის, სომხური და ქლოაგირის, გარდაბნის რაიონის ფონიჭალის, მცხეთის რაიონის დიღმის სკოლების მიერ გაცემული ატესტატები; ანალოგიური მდგომარეობაა გორის, წალკის, ლაგოდეხის, მარნეულის რაიონების სკოლების ერთ ნაწილშიც.

ამოფხეკილი და გადასწორებულია ნიშნები რუსთავის მე-13, წყალტუბოს საღამოს ცვლის, ცხაკაიას 1-ლი, მარნეულის რაიონის ალგეთის, ონის, აბაშის, გარდაბნის, მახარაძის, გურჯაანის, საჩხერის რაიონების, ქ. ჭიათურის ზონისა და ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლების მიერ გაცემულ ატესტატებში.

ქ. თბილისის 56-ე საშუალო სკოლის მიერ გაცემულ № 598521 ატესტატში ქართული და რუსული ტექსტები შევსებულია განსხვავებული ფერის მელნით, ამასთან ატესტატს ხელს აწერს მხოლოდ ერთი მასწავლებელი.

დაბადების მოწმობის ან პასპორტის საფუძველზე არ არის შევსებული წალკის 1-ლი და სოფელ ხალაპის საშუალო სკოლების მიერ გაცემული ატესტატები. კიდევ მეტი, ხალაპის სკოლის მიერ გაცემული ატესტატები მხოლოდ ერთ ენაზეა შევსებული.

გერბიანი ბეჭედი არ იკითხება ქ. რუსთავის მე-13, ქ. ჭიათურის მე-3 და ლაგოდეხის, მახარაძის, ბოლნისისა და ბოგდანოვკის ზოგიერთი საშუალო სკოლის მიერ გაცემულ ატესტატებში.

ჩამოთვლილი და სხვა ნაკლოვანებების შედეგად ხშირია შემთხვევები, როდესაც უმაღლესი სასწავლებლები ან სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტრო მოგვმართავს თხოვნით — დავადასტუროთ ატესტატის გაცემის სისწორე; უმეტეს შემთხვევაში კი ასეთი ატესტატების მფლობელებს უარს ეუბნებიან საბუთების მიღებაზე, რაც მშობელთა და კურსდამთავრებულთა სამართლიან გულისწყრომას იწვევს განათლების დრგის მუშაკთა მიმართ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1978 წლის 23 იანვარს დამტკიცებულ ინსტრუქციაში „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატების, რვაწლიანი განათლების მოწმობების შენახვის, გაცემის და აღრიცხვის წესების შესახებ“ (იხილეთ ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 1—2, 1978 წელი). პირველი განყოფილების მე-3 მუხლი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან საშუალო განათლების ატესტატებს და რვაწლიანი განათლების მოწმობებს ანგარიშქვეშ ღებულობენ ასსრ რესპუბლიკის განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები, საიდანაც სკოლის დირექტორები ატესტატებს მიიღებენ განაცხადისა და საშუალო განათლების ატესტატზე ჩატარებული გამოცდების სათანადოდ გაფორმებული ოქმების წარმოდგენის შემდეგ, ხოლო რვაწლიანი განათლების მოწმობებს — კურსდამთავრებულთა სიების მიხედვით“.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა აღნიშნული ინსტრუქციის განუხრელად შესრულების მიზნით:

— ყოველი წლის 15 ივნისამდე უზრუნველყონ რაიონებისათვის (ქალაქებისათვის) საჭირო რაოდენობის რვაწლიანი განათლების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების მთლიანად (სახეობების მიხედვით ერთდროულად) გატანა, აღრიცხვა და სკოლებზე დროულად გაცემა;

— აამაღლონ სკოლის დირექტორთა პირადი პასუხისმგებლობა საშუალო განათლების ატესტატების, რვაწლიანი განათლების მოწმობებისა და ქების სიგელების აღრიცხვის, შენახვისა და გაცემის საქმეში. უზრუნველყოფილ იქნეს მოწმობა-ატესტატებისა და ქების სიგელების აკურატულად, გარკვეული ხელით, დაბადების

მოწმობის (პასპორტის) საფუძველზე, ქართულ და რუსულ ენებზე ინსტრუქციის შესაბამისად შავი ტუშით შევსება-წარმოება და მათი 25 ივნისამდე დანიშნულებით გაცემა.

— პერიოდულად შეისწავლონ რაიონში (ქალაქში) მოწმობა-ატესტატების გაცემისა და აღრიცხვის მდგომარეობა, განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) სამინისტროს შესაბამის სამმართველოებთან შეთანხმებით მოამზადოს სახალხო განათლების სისტემაში შემავალ ყველა დაწესებულებების ბეჭდის, შტამპისა და მიმართვის ბლანკის შეცვლის საკითხი.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. გ. ფანჩულიძე).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი Თ. ქინქლაძე

# ანგარიში

———————— განათლების განყოფილების მიერ
197——— წ. ანგარიშქვეშ მიღებული მოწმობა-ატესტატების
გაცემის შესახებ

## I. განათლების განყოფილებაში

| | ატესტატი | მ. შ. ოქროს მედლის | ქების სიგელი | მოწმობები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8 კლასის | მძღოლის | ტრაქტორის-ტის | საქმეთა მმართველის |
| შემოვიდა | | | | | | | |
| გაიცა | | | | | | | |
| დაბრუნდა | | | | | | | |

## 2. სკოლებში

| სკოლების დასახელება | VIII კლასი | | | X (XI) კლასი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მათ შორის | | | | მიეცა მოწმობა | | |
| | ირიცხებოდა წლის ბოლოს | დაამთავრა 8 კლასი | დატოვებულია იმავე კლასში | ირიცხებოდა წლის ბოლოს | მიეცა ატესტატი | ოქროს მედალი | ქების სიგელი | მიეცა მოწმობა „მოისმინა" | დატოვებულია | ავტომძღოლის | ტრაქტორისტის | საქმეთა მმართველის |
| | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. | | | | | | | | | | | | |
| 4. | | | | | | | | | | | | |
| 5. | | | | | | | | | | | | |
| 6. | | | | | | | | | | | | |
| 7. | | | | | | | | | | | | |
| 8. | | | | | | | | | | | | |
| 9. | | | | | | | | | | | | |
| 10. | | | | | | | | | | | | |
| 11. | | | | | | | | | | | | |
| 12. | | | | | | | | | | | | |
| | ჯამი | | | | | | | | | | | |

ბ. ა.

———————— განათლების განყოფილების

გამგე

შენიშვნა: ანგარიში დგება ყოველწლიურად 5 სექტემბრის მონაცემების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О серьезных нарушениях в деле ведения документов особого учета

**11 мая 1979 года, № 289**

Проверкой и анализом материалов, поступивших в Министерство просвещения ГССР установлено, что несмотря на ряд проведенных мероприятий, часть городских и районных отделов народного образования и общеобразовательных школ серьезно нарушает правила требования, хранения, заполнения и выдачи свидетельств, аттестатов, их дубликатов и похвальных грамот.

Свидетельства, оттестаты и похвальные грамоты в соответствии с установленными правилами, должны заполняться черной тушью, аккуратно, разборчивым почерком, на грузинском и русском языках. К сожалению, вышеуказанные требования не соблюдаются: на документе отсутствуют подписи директора школы, его заместителя по учебно-воспитательной работе и, как минимум, трех учителей, дата выдачи документа; иногда невозможно определить на каком языке осуществлялось обучение в школе, которую закончил ученик; на документе отсутствует гербовая печать школы, подчас печать слишком бледная и полное наименование школы трудно читать; бывают случаи заполнения документа не на основании паспорта или свидетельства о рождении; в грузинском и русском тексте имеются несовпадения в именах, отчествах, фамилиях и оценках; встречаются случаи выскабливания, исправления, подписи на незаполненном документе, факты проставления печати или хранения чистых бланков; часто отделы народного образования или школы не правильно оформляют документы для замена аттестатов или получения дубликата, а получение указанных документов подчас доверяют некомпетентным лицам.

Систематический характер принимает получение свидетельств, аттестатов и похвальных грамот для выдачи выпускникам с опозданием и по частям.

Из-за вышеуказанных серьезных нарушений ежегодно в большом количестве портятся бланки свидетельств, аттес-

татов и похвальных грамот. Только в прошлом 1978 году по республике из-за неправильного заполнения школами документов заменено 845 свидетельств и аттестатов, из них: в Абхазской АССР — 90; г. Кутаиси — 39; г. Рустави — 20; г. Зугдиди — 15; Гардабанском районе — 12; Ахалкалакском — 30; Богдановском — 23; Болнисском — 22; Марнеульском — 24; Сигнахском — 14; Терджольском — 16; Цалкском — 39; в районах г. Тбилиси — 161 и др.

В результате грубого нарушения порядка хранения документов особого учета в 1978 году из вечерней (сменной) средней школы Чхороцкусского района были похищены 18 заполненных аттестатов, подлежащих выдаче в 1975-76 году.

Несмотря на категорический запрет, незаполненные аттестаты оказались в отделах народного образования и школах Лагодехского, Ванского, Махарадзевского, Душетского, Самтредского, Сигнахского, Ахалкалакского, Терджольского, Марнеульского районов, Ткибульской и Чиатурской зон.

Документы, направляемые в Министерство для замены свидетельств и аттестатов или получения дубликата, не оформляются в соответствии с Инструкцией и прилагаемым к ней образцом (отделы народного образования и ряд подчиняемых им школ Калининского, Ленинского, Орджоникидзевского, им. 26-ти комиссаров, Кировского районов г. Тбилиси, г. Зугдиди, Болнисского и Горисского районов).

Аттестаты, выданные Тбилисской 68-ой, Руставской 13-ой, Такилисской, Цалкского района, Колагирийской и Болнисской армянской Болнисского района, Поничальской Гардабанского района, Дигомской Мцхетского района школами подписаны чернилами разного цвета; аналогичное положение и в ряде школ Горийского, Цалкского, Лагодехского, Марнеульского районов.

Подчищены и переправлены оценки в аттестатах, выданных Руставской 13-ой, Цхалтубской вечерней (сменной), Цхакаевской 1-ой, Алгетской, Марнеульского района школами, а также школами Онского, Абашского, Гардабанского, Махарадзевского, Гурджаанскоого, Сачхерского районов, Чиатурской зоны и некоторыми школами г. Тбилиси.

Аттестат под № 598521, выданный Тбилисской 56-ой средней школой на грузинском и русском языках заполнен чернилами разного цвета, на аттестате стоит подпись всего лишь одного учителя.

Аттестаты, выданные Цалкской 7-ой и Халапской Цалкского района средними школами не заполнены на основании свидетельства о рождении или паспорта. Более того, аттестаты, выданные Халапской средней школой заполнены всего лишь на одном языке.

Гербовая печать не читается в аттестатах, выданных Руставской 13-ой, Чиатурской 3-ей и рядом средних школ Лагодехского, Махарадзевского, Болнисского и Богдановского районов.

В результате вышеназванных и других недостатков часты случаи, когда вузы или Минпрос СССР обращаются к нам с просьбой подтвердить правильность выдачи аттестата, а в большинстве случаев владельцам таких аттестатов отказывается в приеме документов, что вызывает справедливое недовольство родителей и выпускников в отношении работников народного образования.

С целью устранения вышеотмеченных недостатков

п р и к а з ы в а ю:

1. Внести изменение в Инструкцию, утвержденную Министерством просвещения Грузинской ССР от 23 января 1978 года «О порядке хранения, выдачи и учета аттестатов о среднем образовании и свидетельств о восьмилетнем образовании выпускникам общеобразовательных средних, восьмилетних, вечерних (сменных) и заочных школ» (см. сборник приказов и инструкций № 1-2, 1978 г.); пункт 3, в разделе I следует читать следующим образом:

«Аттестаты о среднем образовании и свидетельства о восьмилетнем образовании Министерства просвещения АССР, отделы народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов получают от Министерства просвещения Грузинской ССР под отчет, а директора школ аттестаты получают после представления заявки и соответствующим образом оформленных протоколов экзаменов на аттестат о среднем образовании, а свидетельства о восьмилетнем образовании— по спискам выпускников».

2. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики с целью неукоснительного выполнения указанной Инструкции:

— до 15 июня каждого года обеспечить полный вывоз (по видам одновременно), учет и своевременную выдачу свидетельств о восьмилетнем образовании и аттестатов о среднем образовании районным (городским) школам в нужном для них количестве;

— повысить персональную ответственность директоров школ в деле учета, хранения и выдачи аттестатов о среднем образовании, свидетельств о восьмилетнем образовании и похвальных грамот. Обеспечить аккуратное заполнение аттестатов, свидетельств и похвальных грамот разборчивым почерком на основании свидетельства о рождении (паспорта), грузинском и русском языках в соответствии с Инструкцией, черной тушью и их выдачу по назначению до 25 июня.

3. Главному управлению снабжения (тов. О. Кереселидзе) по согласованию с соответствующими управлениями Министерства подготовить вопрос замены печати, штампа и бланков отношений всех учреждений.

4. Контроль за выполнением настоящего приказа поручить Управлению школ (тов. Г. Панчулидзе).

**Основание:** решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 26 апреля 1979 года.

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

Отчет

о выдаче аттестатов и свидетельств, полученных под отчет
в 1979 году в ОНО                района (города)

1. По отделу народного образования

| | Аттестаты | В т. ч. с золотой медалью | Похвальные грамоты | Свидетелства | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | за 8 кл. | водителя | трактор | деловода |
| Поступило | | | | | | | |
| Выдано | | | | | | | |
| Возвращено | | | | | | | |

2. По школам

| | Перечень школ | VIII класс | | | X (XI) класс | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | в т. ч. | | | | выдано свидет | | |
| | | Числилось в конце года | Окончило 8 классов | Оставлено | Числилось в конце года | Выдано всего аттестатов | С золотой медалью | С похвальн. грамотой | Дано свидет. „прослушал" | Оставлен | Водителя | Тракториста | Деловода |
| 1. | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3. | | | | | | | | | | | | | |
| 4. | | | | | | | | | | | | | |
| 5. | | | | | | | | | | | | | |
| 6. | | | | | | | | | | | | | |
| 7. | | | | | | | | | | | | | |
| 8. | | | | | | | | | | | | | |
| 9. | | | | | | | | | | | | | |
| 10. | | | | | | | | | | | | | |
| 11. | | | | | | | | | | | | | |
| 12. | | | | | | | | | | | | | |
| | Итого: | | | | | | | | | | | | |

Зав. отделом народного образования

М. П.

**Примечание:** отчет составляется ежегодно по данным на 5-ое сентября.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1979 წლის 15 მაისის ბრძანება № 2—257/302

**მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1977 წლის 17 ივნისის № 2—356/445 ერთობლივი ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111 დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ დიდი როლი ენიჭება საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს საყოველთაო საშუალო განათლების ამოცანის გადაწყვეტის საქმეში. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთობლივი ბრძანების შესაბამისად, რომელიც დაშვებული იქნა 1977 წლის 17 ივნისს, ზოგიერთ რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სოფლის მეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. ასე მაგალითად: ქობულეთის რაიონში 1975 წლიდან დღემდე დაუსწრებელი და საღამოს დასწრებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დაამთავრა სოფლად მომუშავე 16-დან 30 წლამდე ასაკის 200 ახალგაზრდამ, ხოლო 1978—1979 სასწავლო წელს მომუშავე ახალგაზრდების სწავლების უკეთ დაყენების მიზნით ქობულეთის საღამოს საშუალო სკოლა გადაკეთდა რაიონულ დაუსწრებელ სკოლად. გეგმით გათვალისწინებული 350 მოსწავლის ნაცვლად დაუსწრებელი სწავლების ჯგუფებსა და პუნქტებში მიღებულია 418 ახალგაზრდა. სულ დაუსწრებელი სწავლების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებსა და ჯგუფებში ჩაბმულია 1073 ახალგაზრდა.

ხობის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში 1813 მუშაკიდან საშუალო განათლებითაა 1749, საღამოს სკოლებში სწავლობს 47 და დაუსწრებელ განყოფილებებზე — 17, ე. ი. რაიონში ადგილი არ აქვს ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმის გარეშე დარჩენას.

ასევე აბაშის რაიონის აღნიშნული ასაკის 351 ახალგაზრდიდან საშუალო განათლება აქვს 140-ს, დანარჩენი ჩაბმულია საღამოს სწავლებაში.

ლენტეხის რაიონის 1159 მომუშავე ახალგაზრდიდან საშუალო

განათლება აქვს 1000-ს ხოლო 159 ჩაბმულია საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაში. მსგავსი ღონისძიებები გატარდა რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

ამასთან ზოგიერთი რაიონის საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმისა და სავალდებულო საშუალო განათლების კანონის განხორციელებისათვის. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქედის რაიონში; 1694 ახალგაზრდიდან საშუალო განათლება აქვს 435, საღამოს სკოლაში სწავლობს 379, ხოლო დაუსწრებელ განყოფილებაზე 15, 865 ახალგაზრდა არსად არ სწავლობს; სწავლებაში ჩაბმული არ არის ბოგდანოვკის რაიონიდან — 179, ახალქალაქის რაიონიდან 517 და ა. შ.

აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმაზე. არ ატარებენ ღონისძიებებს მუშაობასთან სწავლის შეთავსებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას საწარმოთა კოლექტივების შრომით მაჩვენებლებთან ერთად მხედველობაში არ ღებულობენ სწავლებაში ჩაბმული ახალგაზრდების სწავლის შედეგებს, როგორც შრომითი კოლექტივის საქმიანობის ერთ-ერთ მაჩვენებელს.

მომუშავე ახლგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი განათლების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის თაობაზე სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით გატარების, აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს 1977 წლის 17 ივნისის № 2—356/445 ერთობლივი ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ა/ო და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომების, სოფლის მეურნეობის სამმართველოების (საწარმოო გაერთიანებების), საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და გაერთიანებების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარების ტრესტებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელებმა:

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრაობაში — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“. ამ საქმეში უკეთ გამოიყენონ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარდაჭერა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარება, რომ ყველგან შეიქმნას მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებისადმი საყოველთაო ზრუნვის ატმოსფერო, უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ პერსპექტიული გეგმები და უზრუნველყონ საშუალო განათლების არამქონე 16—29 წლის ყველა მომუშავე ახალგაზრდის სწავლებაში ჩაბმა.

— გააფართოონ დამრიგებლობის პრაქტიკა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ბრიგადირები და წამყვანი სპეციალობის დიდი სტაჟის მქონე მუშები დ კოლმეურნეები;

— თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან საღამოს და დაუსწრებელი სკოლების ხელშემწყობი კომისიები;

— გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი იმისათვის, რომ სწავლაში ჩაბმულ ახალგაზრდებს ქონდეთ მუშაობასთან სწავლის შეუფერხებლად შეთავსების ყველა პირობა;

— წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდები, საჭიროების მიხედვით, უზრუნველყონ მოქმედი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით;

— სწავლასა და შრომაში მოწინავე ახალგაზრდები სისტემატიურად წაახალისონ მატერიალური და მორალური სტიმულირების საშუალებებით;

— სისტემატიურად შეისწავლონ დაქვემდებარებულ საწარმოებში მუშა-ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაში ჩაბმის მდგომარეობის საკითხი და მიიღონ შესაბამისი ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

— სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქონიონ სწავლებაში ჩაბმული მუშა-ახალგაზრდების სწავლის შედეგები, როგორც შრომითი კოლექტივის საქმიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ხელმძღვანელებმა;

— საქმიანი და სისტემატიური კონტაქტები დაამყარონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელებით უზრუნველყონ საშუალო განათლების არმქონე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომუშავე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმა, მეცადინეობაზე დასწრება, სწავლის ხარისხის მკვეთრად ამაღლება და კონტინგენტის შენარჩუნება-გაზრდა;

— სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად მოაწესრიგონ მოზრდილთა სკოლების ქსელი, სწავლების ფორმა და რეჟიმი ისე, რომ ახალგაზრდობამ საშუალო განათლება მიიღოს თავისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის მიხედვით.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების შრომისა და ხელფასის განყოფილებები და კადრების განყოფილებები საწარმოთა მუშაობის ადგილებზე შემოწმება-შესწავლისას ყოველთვის დაინტერესდნენ და საფუძვლიანად შეისწავლონ მომუშავე ახალგაზრდობის ზოგადი განათლების ამაღლებისათვის გაწეული მუშაობა, ადგილზევე მიიღონ ოპერატიული ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილე
ზ. ჯინჭარაძე

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უ. ოზოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР И МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О ходе выполнения совместного приказа Министерства просвещения Грузинской ССР и Министерства сельского хозяйства Грузинской ССР от 17 июня 1977 года № 2-356/445 «О совершенствовании вечернего и заочного обучения работающей молодежи»

15 мая 1979 года № 2-257/302

В постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 декабря 1977 года за №1111 «О дальнейшем совершенствовании обучения, воспитания учащихся общеобразовательных школ и подготовки их труду» важная роль в деле решения задач всеобщего среднего образования отводится вечерним общеобразовательным школам.

17 июня 1977 года Министерство сельского хозяйства Грузинской ССР и Министерство просвещения Грузинской ССР издали совместный приказ, предусматривающий ряд серьезных мероприятий по претворению в жизнь требований постановления.

Во исполнение приказа в республике проведена значительная работа в направлении повышения общеобразовательного уровня молодежи, работающей в сельском хозяйстве.

В Кобулетском районе с 1975 года очно-заочные и вечерние школы закончили 200 молодых людей 16-30 летнего возраста, работающих на селе, а в 1978/79 учебном году с целью улучшения обучения работающей молодежи Кобулетская вечерняя средняя школа реорганизована в районную школу. Вместо предусмотренных по плану 350 учащихся в группы и пункты заочного обучения принято 418 молодых рабочих. Всего в учебные пункты и группы вовлечено 1073 человека.

На сельскохозяйственных предприятиях Хобского района из общего числа работников 1813 со средним образованием — 1749, в вечерних школах учатся — 47 и на заочном отделении 17, т. е. в районе нет ни одного молодого работника, который не был бы вовлечен в обучение.

Из 351 молодого человека указанного возраста в Абашском районе среднее образование имеют 140, остальные же вовлечены в вечернее обучение.

Из 1159 молодых людей, работающих в Лентехском районе, среднее образование имеет 1000, а 159 волечены в вечернее и заочное обучение. Улучшилось положение по вовлечению молодых людей в вечерние и заочные школы и в других районах республики.

Вместе с тем руководители предприятий ряда районов все еще недостаточно заботятся о вовлечении молодежи в обучение и осуществлении Закона о всеобуче. Неудовлетворительное положение в Кедском районе: из 1694 молодых людей среднее образование имеют 435, в вечерних школах учатся 379, а на заочном отделении 15, 865 юношей и девушек нигде не учатся; в обучение не вовлечены 179 человек из Богданского района, 517 из Ахалкалакского района и т. д.

Вышеуказанное свидетельствует о том, что руководители предприятий ряда районов все еще недостаточно заботятся о вовлечении молодежи в обучение, не проводят надлежащих мероприятий для создания необходимых условий с целью совмещения работы с учебой.

При подведении итогов соцсоревнования ряд предприятий сельского хозяйства, наряду с трудовыми показателями коллективов предприятий не учитывают вовлечение молодежи в обучение и результаты обучения, как один из показателей деятельности трудового коллектива.

С целью успешного претворения в жизнь решений XXV съезда КПСС о дальнейшем развитии и совершенствовании вечернего и заочного обучения работающей молодежи, а также ликвидации недостатков, имеющих место в выполнении мероприятий, намеченных совместным приказом Министерства сельского хозяйства Грузинской ССР и Министерства просвещения Грузинской ССР от 17 июня 1977 года за № 2-356/445,

приказываем:

1. Руководителям министерств сельского хозяйства Абхазской и Аджарской АССР, управлений (производственных объединений) исполкомов Советов народных депутатов Юго-Осетинской АО, городов и районов, совхозов, колхозов, межхозяйственных предприятий и объединений, подчиненных Министерству сельского хозяйства трестов и объединений:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— принять активное участие в движении «Каждому молодому труженику — среднее образование!» В этом деле опираться на местные партийные и советские органы, помощь профсоюзных и комсомольских организаций с тем, чтобы повсеместно создать атмосферу всеобщей заботы об обучении работающей молодежи, в кратчайший срок разработать перспективные планы вовлечения в обучение всей работающей молодежи от 16 до 29 летнего возраста, не имеющей среднего образования, обеспечить выполнение этих планов;

— расширить практику наставничества, широко вовлекая в это дело инженерно-технический персонал, бригадиров и ведущих специалистов, рабочих и колхозников, имеющих большой стаж работы;

— в каждом колхозе и совхозе создать комиссии по содействию вечерним и заочным школам;

— провести практические меры по созданию всех условий для беспрепятственного совмещения учебы с работой;

— обеспечить учащуюся молодежь предусмотренными законодательством льготами;

— передовиков учебы и труда поощрять средствами материального и морального стимулирования;

— систематически изучать вопрос вовлечения в среднее общеобразовательное обучение молодежи, работающей на подчиненных предприятиях, принимать неотложные меры по искоренению выявленных недостатков;

— при подведении итогов соцсоревнования, как один из показателей деятельности трудового коллектива, принимать во внимание вовлечение в обучение работающей молодежи и результаты обучения.

2. Министерствам просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов, руководителям вечерних и заочных школ:

— установить деловые контакты с руководителями предприятий и организаций Министерства сельского хозяйства Грузинской ССР, осуществляя совместные мероприятия, обеспечить вовлечение работающей молодежи, не имеющей среднего образования, в обучение, посещение ими занятий, резкое повышение качества обучения, сохранение и увеличение контингента;

— совместно с руководителями предприятий и организаций сельского хозяйства упорядочить сеть школ для взрослых, форму и режим обучения с таким расчетом, чтобы работающая молодежь среднее образование получала по месту жительства и работы.

3. Отделам труда и зарплаты, отделам кадров Министерства сельского хозяйства Грузинской ССР и Республиканского производственного объединения на местах при проверке и изучении работы предприятий всегда интересоваться и основательно изучать работу, проделанную по повышению общего образования работающей молодежи, принять на местах меры по исправлению выявленных недостатков.

**Зам. Министра сельского хозяйства Грузинской ССР**
**З. ДЖИНЧАРАДЗЕ**

**Зам. Министра просвещения Грузинской ССР**
**УШ. ОБОЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქრონიკა

### განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გაცნობებთ, რომ გაუქმებულია, როგორც დაკარგული, საშუალო განათლების ატესტატი № 022789.

სკოლების სამმართველოს
უფროსი — ა. სუჯაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ХРОНИКА МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**Об анулировании некоторых документов просвещения**

Министерство просвещения Грузинской ССР сообщает, что анулирован, как потерянный, аттестат о среднем образовании под № 022789.

**Начальник Управления школ** **К. СУДЖАШВИЛИ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


გადაწყვეტილება — 1978—1979 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ 3

Решение — Об организованном проведении экзаменов в общеобразовательных школах республики в 1978-1979 учебном году . 8

გადაწყვეტილება — ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-2 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური გამოფენა-კონკურსის ჩატარების შესახებ . . . 13

Решение — Об итогах II Республиканской выставки-конкурса работ учащихся и учителей черчения и проведении III Республиканской выставки-конкурса . . . . . 21

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების მიერ 1979 წელს ხორცის წარმოების ამაღლების ღონისძიებათა შესახებ 30

Решение — О мерах по повышению производства мяса органами народного образования республики в 1979 году . . . . 36

გადაწყვეტილება — მშთ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე 1979 წელს მოსწავლეთა პირადგუნდური პირველობის ჩატარების შესახებ 42

Решение — О проведении в 1979 году личнокомандного первенства учащихся по многоборию комплекса ГТО на приз газеты «Комсомольская правда» . . . . . 45

ბრძანება № 289 — განსაკუთრებული აღრიცხვის დოკუმენტების წარმოების საქმეში სერიოზული დარღვევების შეახებ 48

Приказ № 289 — О серьезных нарушениях в деле ведения документов особого учета . . . . . 51

ბრძანება № 2—257/302 — მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების სრულყოფის თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1977 წლის 17 ივნისის № 2—356/445 ერთობლივი ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ 60

Приказ № 2-257/302 — О ходе выполнения совместного приказа Министерства просвещения Грузинской ССР и Министерства сельского хозяйства Грузинской ССР от 17 июня 1977 года № 2-356/445 «О совершенствовании вечерного и заочного обучения работающей молодежи» . . . . . 64

ქრონიკა — განათლების ზოგიერთი დოკუმენტის გაუქმების შესახებ 68

Хроника—Об анулировании некоторых документов просвещения 69

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი — ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი — ა. ბაკურაძე
კორექტორი — ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 1/VIII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/IX-79 წ.
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4;

შეკვეთა № 812 უე 068 ტირაჟი 5 000

უფასო

საქ. სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის 7.
Типография Министерства Просвещения ГССР, Нуцубидзе 7.